ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

არაფორმალური სოციალური ქსელების გავლენა და მნიშვნელობა არალეგალური მიგრაციული ნაკადების მართვაში

თბილისი

2017

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
SAIA GYLA
Georgian Young Lawyers' Association

CIPDD
25 YEARS

გამოცემა მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის **კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება** ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ.

ავტორი: თამარ ჩარკვიანი

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია & მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

ძირითადი მიგნებების ინტერპრეტაცია/ანალიზი 4

1. შესავალი 5
   1.1 პოსტ-საბჭოთა საქართველოს არალეგალური მიგრაციული ნაკადების მართვა . . 5
   1.2 სტატისტიკისა და რაოდენობრივ მონაცემები მიმოხილვა 5
   1.2 კვლევის მიზანი, საგანი, ობიექტი და კითხვები 7
   1.3 ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია 8
   1.4 ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტები 8
   1.5 საველე სამუშოები 9
   1.6 კვლევის მონაცემების დამუშავება და ანალიზი 9

2. თეორიული კონტექსტი 9
   2.1 არაფორმალური ქსელების თეორიების მიმოხილვა 9
   2.2 ჩარლს ორტონ ქულის პირველადი და მეორეული ჯგუფების თეორია. 10
   2.3 მარკ გრანოვეტერი „სუსტი და ძლიერი კავშირების ძალა“ 10

3. არაფორმალური ქსელის გავლენა მიგრაციულ პროცესებზე 13
   3.1 არაფორმალური მიგრაციის ძირითადი ინფორმანტების იდენტიფიცირება 13
   3.2. სამუშაოს საძიებლად უცხოეთში წამსვლელები/წასულების პრობლემები 14
   3.3. არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეები:
   ინფორმირებულობის დონე და წყაროები 15
   3.4. არალეგალური მიგრანტების ადაპტაციის სტრატეგიები 16
   3.5. არაფრომალური ქსელის ფორმირების პროცესი საზღვარგარეთ 17

4. სამუშოა პირობები 18
   4.1 სამუშაოა პირობების აღწერა: მიგრანტების გამოცდილება 18
   4.2 ინფორმაციის ცირკულაცია არაფორმალურ ქსელში 20

5. არაფორმალური ქსელი, დიასპორები და სათვისტომოები 21

6. არაფორმალური ქსელი და ქართული რელიგიური ინსტიტუტები საზღვარგარეთ. 25

7. შეჯამება 29

ბიბლიოგრაფია 30

დანართები

დანართი 1. ნოსტალგია პოსტერებში 31

დანართი 2. იტალიაში არსებული ქართული მართმადიდებლური ეკლესიები 32

არაფორმალური სოციალური ქსელების გავლენა და მნიშვნელობა არალეგალური მიგრაციული ნაკადების მართვაში

ძირითადი მიგნებების ინტერპრეტაცია/ანალიზი

სოციალურ აქტორების ურთიერთობები და ურთიერთქმედება სოციალური სტრუქტურის ფორმის და შინაარსის განმსაზღვრელია. ურთიერთქმედების მოდელები აყალიბებს სოციალური ქსელების სხვადასხვა ტიპის კონსტრუქტებს. სოციალურ ქსელში ჩართული თითოეული ადამიანი, სოციალური აგენტი არის მონაწილე მისი კვლავწარმოქმნის პროცესის. არაფორმალური სოციალური ქსელი შემოფარგლავს იმ ხალხს, ვინც ფაქტობრივად შეესაბამება ერთმანეთს. როგორც წესი, ისინი აკავშირებენ ერთმანეთთან ხალხს, რომლებსაც აქვთ მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე ასაკი, განათლება, რასა, სოციალური კლასი, ინტერესის სფეროები და სხვა სოციალური მახასიათებლები. ლევინის წერს, რომ შეიძლება შეგიყვარდეთ უცხო ადამიანი ხალხით სავსე ოთახში, მაგრამ იმის ალბათობა, რომ ეს ოთახი სავსე იქნება თქვენი მსგავსი ხალხით – საკმაოდ მაღალია (ლევინი, 1994 წ.).

არაფორმალური სოციალური ქსელების კონცეფცია არალეგალური მიგრაციის კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან კვლევის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ **არაფორმალური სოციალური ქსელები და მასში ჩართული სოციალური აქტორების ურთიერთქმედების მოდელი ხელს უწყობს არალეგალურ მიგრაციულ პროცესებს**. ქართული სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურა ორიენტირებულია დახმარება გაუწიოს ქსელის წევრებს და გარკვეული თვალსაზრისით არალეგალური მიგრაციის ინსტიტუტის ფორმირების მნიშვნელოვანი საყრდენი ხდება. არალეგალური მიგრაციის პრაქტიკების კვლავწარმოება ქსელის ლეგიტიმაციის ბაზაზე ხორციელდება. ამ პროცესს ახლავს ქსელის აქტორებს შორის საკმაოდ ძლიერი რეცეპროკულობის (Reciprocity) ანუ რესურსების გაცვლის პროცესი, აღნიშნულს შეესაბამება ქართული გამონათქვამი *„ხელი ხელს ბანს“*, ეს პრინციპი არალეგალ მიგრანტთა სოციალური ქსელის წევრების ერთ-ერთი დამაკავშირებელი პრინციპია.

კვლევის მონაცემების თანახმად, არალეგალური მიგრაციის იდეა და განხორციელების გზები სოციალურ ქსელში იბადება. სოციალური აქტორები ეხმარებიან ერთმანეთს არალეგალური მიგრაციის პირობებში უცხო გარემოში ადაპტაციასა და რესოციალიზაციის პროცესში. რაც გამოიხატება საკუთარი გამოცდილების გაზიარებასა და ძირითადად სამსახურის მოძიების პროცესში. რაც უფრო დიდია და ეკლექტური ქსელი, მით უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის ცირკულაცია ხდება, ქსელის სიძლიერე გამოიხატება აგრეთვე ინფორმაციის ინტენსიურ განახლებაში. მეცნიერულ ტერმინებს თუ გამოვიყენებთ, სოციალური ქსელის ეს მოდელები შეესაბამება კონსტრუქტებს, რომელთაც მარკ გრანოვეტერი „სუსტი კავშირების ძალას,“ ხოლო ჩარლზ ორტონ ქული მეორეულ ჯგუფს უწოდებს. სოციალური აქტორი ახდენს მისთვის კონკრეტულ მომენტში საჭირო ინფორმაციის იდენტიფიცირებას ან სამომავლო პერსპექტივების წარმოდგენას.

მონაცემები აგრეთვე ცხადყოფს, რომ არაფორმალური სოციალური ქსელის გარდა არაფორმალური მიგრაციის საყრდენი ფორმალური ინსტიტუტებიც არის – საზღვარგარეთ არსებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები, მათი მოძღვრები, მათ გარშემო გაერთიანებული მრევლი და ასევე დიასპორული ორგანიზაციები და სათვისტომოები.

1. შესავალი

1.1 პოსტ-საბჭოთა საქართველოს არალეგალური მიგრაციული ნაკადების მართვა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოდან მიგრაციის მახასიათებლები, მოცულობა და მიმართულებები. დღეისათვის ქართველი მიგრანტების ჯგუფების პოვნა სხვადასხვა ქვეყანაშია შესაძლებელი და მათი ნაკადებიც სხვადასხვა ქვეყნისკენ არის მიმართული.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მიგრაციის სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებში,[1] განსაკუთრებით საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნებისა და მათი რეინტეგრაციის პოლიტიკის ხელშეწყობის თვალსაზრისით.[2]

1.2 სტატისტიკისა და რაოდენობრივ მონაცემები მიმოხილვა

საქართველოდან მიგრაციული ტენდენციების კვლევა რთულია სანდო სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობის და მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოდოლოგიის გამო. შესაბამისად, დიდი სიფრთხილე გვმართებს სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით შეგროვებული მონაცემების გამოყენებისას და შედარებისას.[3]

ზუსტად ცნობილი არ არის, როგორია საქართველოდან შრომითი მიგრაციის მოცულობა, მაგრამ მკვლევარები თანხმდებიან, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს.[4] მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2010 წლისთვის 1.057.0001-ს აღწევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყოველი მეოთხე მოქალაქე საზღვარგარეთ ცხოვრობს (იხ. მონაცემები 1.).[5] 2012 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით კი, 2011 წელს საქართველოს 350-იდან 500 ათასამდე მოქალაქე საზღვარგარეთ იყო დასაქმებული, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 8-იდან 11-ამდე პროცენტს შეადგენს.[6]

სტატისტიკისა და რაოდენობრივ მონაცემები მიმოხილვა: 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემები ადასტურებს, რომ 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 600.000 ადამიანით შემცირდა და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3.729.500 ადამიანს შეადგენს[7]

კვლევები ადასტურებს, რომ ქართველების ინტერესები ემიგრაციის მიმართ უფრო და უფრო იზრდება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქართველების საკმაოდ დიდი დიასპორისა, გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილს სურს ქვეყნის სამუდამოდ დატოვება. თუმცა, გამოკითხულთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა 42% გამოხატა ქვეყნის დატოვების სურვილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს დატოვების სურვილი

---

1 ემა ტუხიაშვილი, წყარო: გაზეთი "კვირის პალიტრა"
2 მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია,2015
3 საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2015
4 პიოტრ კაზმიერკევიჩი, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ცირკულარული მიგრაციის საქმეების განვითარების შესაძლებლობა", 2013
5 Migration and Remittances Factbook 2011, world Bank 2012, p. 122
6 Labadze, M. Tukhashvili, Costs and Benefits of Labour Mobility between the EU and the eastern Partnership Partner Countries. Country report: Georgia, CASE/CEU/IZA/LES Enterprise 2012, p,25
7 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები. http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

მონაცემები 1. არაოფიციალური მონაცემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველებისა და საქართველოდან წასული მოსახლეობის შესახებ

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები

უფრო მეტად ახალგაზრდებს აქვთ: 55 წელზე ზემოთ გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 18% გამოთქვა ქვეყნის დატოვების სურვილი; იგივე სურვილი აქვთ 35 წლამდე ასაკის გამოკითხულების ორ მესამედს. ქვეყნის დატოვების სურვილი მჭიდროდ უკავშირდება პროფესიულ სტატუსს და განსაკუთრებით მძლავრია მათ შორის, რომლებიც ამჟამად დასაქმებულნი არ არიან, მაგრამ სურთ დასაქმდნენ: სტუდენტები (87%), ამ დროისათვის დაუსაქმებელია, მაგრამ სამუშაოს მაძიებლები 59%.[8]

ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისი, „საქართველოს ახალგაზრდობის კვლევა 2016“ ავლენს, რომ რესპონდენტების ერთი ნაწილი საკუთარ თავს მომავალში საზღვარგარეთ ხედავს, უმრავლესობას სწავლის, მუშაობის და ცხოვრების მისთვის სასურველ ადგილად საქართველო მიაჩნია. საზღვარგარეთ წასვლის მიზეზად კი უმეტეს შემთხვევაში, ტურისტული დანიშნულებით გამგზავრება წარმოადგენს, თუმცა ახალგაზრდების ნაწილი განათლების მისაღებადაც ისურვებდა სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას. საკმაოდ მცირეა იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც ფოკუს ჯგუფის დისკუსიის ფარგლებში ღიად აცხადებდა, რომ საზღვარგარეთ წასვლა დასაქმების და უკეთესი ანაზღაურების ინტერესის გამო სურს.[9]

‘Transition in Life’ (ცხოვრება გარდამავალ პერიოდში) კვლევის მიხედვით, არსებობს საინტერესო ბმა ცხოვრებით კმაყოფილებას და ოპტიმიზმს შორის; უნდა აღინიშნოს, რომ იმ ახალგაზრდების წილი, რომლებსაც მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება სურთ, უფრო მაღალია ქვეყნის შიგნით მობილობის მსურველებს შორის. თუმცა, საბოლოო ჯამში, როგორც ემიგრაციას ასევე შიდა მიგრაციის მასტიმულირებელი მიზეზები ძირითადად მატერიალურ ფაქტორებს უკავშირდება.[10]

საზღვარგარეთ დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების უმეტესობის სამუშაო უფლებები დაცული არ არის. დაბრუნებული მიგრანტების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ რესპონდენტების მხოლოდ 36,6% ქონ-

8 2012 წლის კავკასიის ბარომეტრის შედეგები მოცემულია: “Viza Liberalization Perspects _ the Way Open for Temporary Emigrants?” CRRRC blog, 5 March 2013

9 ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისი, „საქართველოს ახალგაზრდობის კვლევა 2016“

10 იქვე

და გაფორმებული ოფიციალური შრომითი ხელშეკრულება. გამოკითხულთა ორმა მესამედმა აღიარა, რომ დღეში 8 საათზე მეტს მუშაობდა, მესამედის განცხადებით კი, დღეში 10 საათზე მეტ ხანს ატარებდა სამსახურში.[11]

შეშფოთების კიდევ ერთი საფუძველია შეზღუდული ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე: გამოკითხულთა მხოლოდ მესამედმა განაცხადა, რომ სტაციონარში ან ბინაზე იმკურნალა, გამოკითხულების 20% განაცხადა, რომ ისინი საერთოდ ვერ ახერხებენ მკურნალობის საფასურის გადახდას, ხოლო 42% განცხადებით, ისინი თვითმკურნალობას იტარებენ.[12]

ის რაც ქართველ მიგრანტებს ხელს უშლის დაიცვან საკუთარი უფლებები, არის მათი დაურეგულირებელი იურიდიული სტატუსი. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2008 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან დაბრუნებული მიგრანტების მეოთხედს არ ქონდა ოფიციალური სტატუსი ემიგრაციის ქვეყანაში, ხოლო 30 პროცენტი დროებით ნებართვის საფუძველზე ცხოვრობდა (მუშაობის ოფიციალური უფლების გარეშე). დაბრუნებულების მხოლოდ 28% განაცხადა, რომ ისინი სარგებლობენ მუშაობის უფლებით დანიშნულების ქვეყანაში.[13]

შრომითი ურთიერთობების შეზღუდული რეგულაცია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქართველი მიგრანტები საზღვარგარეთ სამუშაოს საშოვნელად არაოფიციალურ არხებს იყენებენ. მას შემდეგ, რაც 2006 წელს გაუქმდა დასაქმების სახელმწიფო სამსახური, კერძო შუამავალი პირები და სხვა ინდივიდები ერთადერთი აგენტები აღმოჩდნენ, რომლებიც სამუშაოს მაძიებელს და სამუშაო ადგილებს ერთმანეთთან აკავშირებენ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2007 წლის შუამავლების შესახებ კვლევის თანახმად, საქართველოში არ არსებობდა დასაქმების ოფიციალური სააგენტოები. სიტუაცია დღემდე არ შეცვლილა. სამაგიეროდ პოტენციური მიგრანტები, ძირითადად, არარეგისტრირებულ საშუამავლო ორგანიზაციებს ან ინდივიდებს ეყრდნობიან და სამუშაოს მოძებნაში სოლიდურ თანხასაც უხდიან (1.500-იდან 5000 აშშ დოლარს).[14]

ქართველი მიგრანტების საზღვარგარეთ დაყოვნების საშაულო ხანგრძლივობა სამი წელია, რაც ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის. სომეხი მიგრანტი საზღვარგარეთ საშუალოდ 2 წელს ატარებს, ხოლო უკრაინელი – 7 თვეს. განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია მოლდოვის მოქალაქეებთან: მოლდოველი მიგრანტების 49% სამშობლოში 12 თვეში ან ნაკლებ დროში ბრუნდება, ამ პერიოდში ქართველთა დაბრუნების მაჩვენებელი 32% არ აღემატება. ქართველი მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ 3 წელზე მეტ ხანს ატარებს. 18% – ოთხ წლამდე, ხოლო 22% უფრო მეტ ხანს.

1.2 კვლევის მიზანი, საგანი, ობიექტი და კითხვები

კვლევითი პროექტის ძირითადი მიზანი – არალეგალური მიგრაციასთან დაკავშირებული სოციალური პრაქტიკების იდენტიფიცირება, არაფორმალური ქსელების გავლენა და მნიშვნელობა არალეგალური მიგრაციული ნაკადების მართვაში;
ემპირიული მონაცემების მოპოვება და არსებული სიტუაციის ანალიზი.

კვლევის შედეგები ღირებულია სახელმწიფოსათვის – მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის/მართვის სტრატეგიის ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის.

კვლევის საგანი – არაფორმალურ სოციალური ქსელების როლის, მნიშვნელობის და გავლენების საზღვრების იდენტიფიცირება ქართველი არალეგალი მიგრანტების ადაპტაციის, და რესოციალიზაციის პროცესებზე.

კვლევითი კითხვები – რა ტიპის ინფორმაცია ცირკულირებს არაფორმალურ ჯგუფებში,

---

11 Labour Market and returnmed Migrant Reintegration in Georgia, Tbilisi 2012, pp. 95-96.
12 Labour Market and returnmed Migrant Reintegration in Georgia, Tbilisi 2012, pp. 95-97.
13 Labadze, M. Tukhashvili, Costs and Benefits of Labour Mobility between the EU and the eastern Partnership Partner Countries. Country report: Georgia, CASE/CEU/IZA/LES Enterprise 2012, p. 36
14 I. Badurashvili, Circular migration in Georgia, GARIM-East Explanation Note 12/65, EUI Florenc 2012, p. 3.

როგორ ხდება ჯგუფებში ინტეგრირება, რა ეფექტი აქვს არაფორმალურ ჯგუფებს „გადარჩენისათვის“ არალეგალური მიგრაციის შემთხვევაში? რა ბარიერებს აწყდებიან ემიგრანტები სამუშაოს მოძიების პროცესში? რა ტიპის სამართლებრივ დარღვევებია გავრცელებული? და ა.შ.

კვლევის ობიექტი – წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეები რომელთაც აქვთ მიგრაციის გამოცდილება – იმყოფებიან ან იმყოფებოდნენ მიგრაციაში იტალიაში. აღსანიშნავია, რომ მიგრაციის პრობლემა თვითონ იტალიასაც ძალზე აწუხებს;

რა ფაქტორები უწყობს ხელს არალეგალი მიგრანტების ამგვარ „გამძლეობას“?

- ჰიპოთეზა: *ქართველი მიგრანტები ინტეგრირებული არიან არაფორმალურ ქსელებში და რაც მათი ადაპტაციის ერთ-ერთი ძლიერი რესურსია.*
- ჰიპოთეზა: *ქართული რელიგიური ინსტიტუტების სიძლიერე საზღვარგარეთ და მიგრანტების მათში ინტეგრირებულობა.*
- ჰიპოთეზა: *საქართველოში დაბრუნების ნეგატიური მოლოდინები, რაც სავარაუდოდ უპერსპექტივობის განცდას უკავშირდება.*

მიგრანტთა არაფორმალური სოციალური ქსელის მოდელის ანალიზი გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

1.3 ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური სტრატეგია დაზვერვითი და აღწერითი გამოკვლევის ტიპს ეყრდნობა -ფაქტობრივი მონაცემების იდენტიფიცირებას – რამდენად იქნა შესწავლილი პრობლემა ადრინდელი გამოკვლევების შედეგად, პირველადი მონაცემები შეგროვება პრობლემის ირგვლივ, მდგომარეობის „დაზვერვას.” პრობლემის ან ადამიანთა ჯგუფის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიღებას, რომელიც შემდეგში საშუალებას მისცემს კვლევას დაადგინოს, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი პრობლემის სხვადასხვა ელემენტს შორის.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის და შესასწავლი საკითხების შესახებ მაქსიმალურად სრული/ობიექტური ინფორმაციის მოსაპოვებლად კვლევა დაეყრდნო ძირითადად თვისებრივი კვლევის მეთოდებს.

Deask Reaserch – პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე განხორციელდა შესასწავლ თემასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზი – ნებისმიერი რელევანტური წერილობითი წყაროების შესწავლა (სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტების, სტატისტიკური მონაცემების, მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ტენდენციების მიმოხილვას/ინტერპრეტაციას და ა.შ.). ქართლუ პრესის ანალიზსა და ემიგრანტთა სოციალური ქსელების მიმოხილვას.[15]

აღნიშნული მეთოდით, საკვლევ თემაში გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები, უფრო ზუსტად განისაზღვრა თემის მიმართულება და კითხვები ინტერვიუების ინსტრუმენტის – კითხვარი/გზამკვლევის შესამუშავებლად.

1.4 ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის ფარგლებში გამოყენება ინტერვიუს ორი ტიპი: **ბიოგრაფიულ ნარატიული და საფოსტო ინტერვიუ.** ორივე ტიპის ინტერვიუ დაეყრდნო ნახევრად სტრუქტურიზებულ კვლევის კითხვარს, რაც გულისხმობს საუბარს კითხვების მკაცრი დეტალიზაციის გარეშე, მაგრამ ერთიანი გეგმის მიხედვით. კითხვარები სტრუქტურიზებული იყო თემატურად და მათში გამოიყო კვლევის საკითხების რელევანტური ბლოკები. რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა ე.წ. **თოვლის გუნდის პრინციპით** და მოიცვა 25 რესპონდენტი.

[15] შენიშვნა: ქართველ ემიგრანტთა არაფორმალური ქსელი. მასალა გამოყენებული იქნება ანონიმურობის და კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

1.5 საველე სამუშოები

ემპირიული კვლევის საველე სამუშაოების ორგანიზება და წარმოება საკმაო სირთულეებს აწყდება მიგრაციული პროცესების კვლევისას. პროექტი მიზნებიდან გამომდინარე აქცენტი გაკეთდა სხვადასხვა მიგრაციული გამოცდილების მქონე რესპონდენტებზე. შერჩევის მოდელმა მოგვცა შესაძლებლობა გამოკვეთილიყო სხვადასხვა ტიპის მიგრანტთა ჯგუფებში არსებული მდგომარეობა და განწყობები. კვლევის ამოცანებსა და მიზნებზე დაყრდნობით რესპონდენტთა შერჩევისას გათვალისწინებული იყო სხვადასხვა მახასიათებლები – მიგრაციის პერიოდი, ხანგრძლივობა, საზღვარგარეთ მუშაობის სტაჟი, სქესი, ასაკი.[16]

1.6 კვლევის მონაცემების დამუშავება და ანალიზი

მოპოვებული პირველადი სოციოლოგიური კვლევის მასალა (დოკუმენტური წყაროები და ინტერვიუების ტრანსკრიპტები) დამუშავდა ტრადიციული კონტენტ–ანალიზის მიდგომით. კვლევის მონაცემების ანალიზი ძირითადად დაეყრდნო აღწერის პროცედურას, თუმცა, გამოყენებული იყო ისეთი მეთოდებიც, როგორიცაა ინტერპრეტაცია, მონაცემების დაჯგუფება, ტიპოლოგია და ა.შ.

2. თეორიული კონტექსტი

2.1 არაფორმალური ქსელების თეორიების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი მიდგომა არაფორმალური პრაქტიკების აღწერისათვის არის **ბეკის** (Ulrich Beck) „რისკის საზოგადოების თეორია" (1992). „ჩრდილოვან", არაფორმალურ საზოგადოებას, როგორც რისკის საზოგადოებას აქვს თავისი კანონები, რომლებსაც საბოლოო ჯამში ყველა ემორჩილება. ჩრდილოვან ბაზარზე ისეთი ცნებები, როგორიცაა უსაფრთხოების დაცვა ან მისი საფრთხის ქვეშ დაყენება, შეიძლება უკავშირდებოდეს ერთი და იგივე სუბიექტის საქმიანობას, სახელმწიფოს. თუ დემოკრატიულ საზოგადოებებში ბაზარი არის საყოველთაო სოციალური წესრიგის ელემენტი – რისკის საზოგადოებაში მას ცვლის პირადი კავშირების ქსელი, რომელიც მიმართულია კერძო ან კორპორატიული ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ.

თანამედროვე არაფორმალურობა არის არა ინტელექტუალური კაპიტალი პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისათვის, არამედ საყოველთაო გაურკვევლობის და შიშის პირობებში ინდივიდუალური გადარჩენა. ბეკი წერდა, რომ რისკის საზოგადოების ნეგატიური ლოგიკა მოტივირდება გაურკვევლობის შიშით და გამოიხატება ფორმულით „მეშინია!".

არაფორმალური ქსელის მთელი საქმიანობა მიმართულია ოფიციალურ-უპიროვნო ურთიერთობების გარდაქმნისაკენ ნდობით-პიროვნულად, რაც გულისხმობს სოციალური კომუნიკაციის ტრადიციულ ფორმებთან დაბრუნებას.

სოციალური ქსელები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას არაფორმალური პრაქტიკების ანალიზისას ქსელური მიდგომა არის შედარებით ახალგაზრდა თეორიული კონსტრუქტი, რომელის ჩასახვაც მოხდა XX საუკუნის 50–60-იან წლებში, მიდგომის სახით კი მოგვიანებით XX საუკუნის 70–80-იან წლებში ევროპული და ამერიკული კვლევითი სკოლების ფარგლებში ჩამოყალიბდა. არაფორმალური პრაქტიკების ანალიზი შესაძლოა სამი მონათესავე თეორიის პრიზმაში: გაცვლის, რეციპროკულობის (Homans 1974), რაციონალური არჩევანის (Blau 1964) და ქსელური თეორიის (Emerson 1972).

მრავალ ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოციალური ურთიერთობების სტრუქტურა ქმნის ინფორმაციულ ნაკადებს და აყალიბებს განსხვავებულ შესაძლებლობებს

[16] **შენიშვნა ინტერვიუების ტრანსკრიპტების შესახებ**: ინტერვიუებიდან მოყვანილ ციტატებში დაცულია რესპონდენტების საუბრის სტილი და არ არის რედაქტირებული. ამიტომ შესაძლებელია იყოს გრამატიკული შეცდომები. ციტატებში ხაზგასმები (გამუქებები) ეკუთვნის ავტორს.

სხვადასხვა სამუშაო პოზიციაზე. ქსელური მიდგომის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ქსელი და ეს ქსელები ახდენენ სერიოზულ გავლენას დასაქმების პერსპექტივებზე, რესურსების მობილიზაციასა და იდეებისა და სტრატეგიების გავრცელებაზე (Пауэлл и Смит-Дор 2003).

2.2 ჩარლს ორტონ ქულის პირველადი და მეორეული ჯგუფების თეორია

ჩარლს ორტონ ქულის (Charls Horton Cooley, 1905/1956) თეორიის თანახმად სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურა ძირითადად ორი ტიპის: პირველადი და მეორეული ჯგუფებისგან კონსტრუირდება. პირველადი ჯგუფების მახასიათებლები (ოჯახი, ახლო მეგობრები): მუდმივი პირისპირ ურთიერთობები; მძაფრად გამოხატული პერსონალური იდენტიფიკაცია ჯგუფთან; მძაფრად გამოხატული კავშირი ჯგუფის წევრებს შორის; მრავალმხრივი ურთიერთობები; მდგრადობის ტენდენცია.

ხოლო მეორეული ჯგუფების მახასიათებლები(შორეული ნაცნობები, კოლეგები): შეზღუდული პირისპირ ურთიერთობები; თავშეკავებული ან სუსტი პერსონალური იდენტიფიკაცია ჯგუფთან; სუსტად გამოხატული კავშირი ჯგუფის წევრებს შორის; შეზღუდული, მეორეული ურთიერთობები; არამყარობისა და დროებითობის ტენდენცია.

პირველადი და მეორეული ჯგუფები ეფუძნება სხვადასხვა სახის ურთიერთობებს და ურთიერთქმედების მოდელებს. პირველად ჯგუფებში (ოჯახი ან ახლო მეგობრები) ხალხი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან; მათ იციან ერთმანეთის ცხოვრების მრავალი ასპექტი; ურთიერთქმედება ემოციურად დატვირთულია; იდენტობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან; ურთიერთობას ხედავენ, როგორც ხანგრძლივ და მუდმივს, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ თუ არა ისინი ერთსა და იმავე ტერიტორიაზე და ხვდებიან თუ არა ისინი ხშირად ერთმანეთს.

ამის საპირისპიროდ, მეორეული ურთიერთობები არის დროებითი და ზერელე. ხალხს მწირი ინფორმაცია აქვს ერთმანეთის ცხოვრების შესახებ (მაგალითად, მხოლოდ სამსახურით არის შემოფარგლული); ურთიერთქმედება უფრო ფორმალური და პირობითია (დომინანტურია უმნიშვნელო საკითხებზე თავაზიანი, მეგობრული საუბრები); ურთიერთობები, როგორც წესი, არა ემოციურია; თუ ისინი გადადიან სადმე სხვაგან ან იცვლიან სამსახურს, მაშინვე კარგავენ ინტერესს და, შედეგად, შემდგომში მათი კონტაქტების შენარჩუნების იმედიც კი აღარ რჩება.

ქული ყურადღებას ამახვილებს ორ ასპექტზე:

პირველი – თანამედროვე საზოგადოებაში მეორეული ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ურთიერთქმედება იზრდება. ურთიერთქმედება და ურთიერთობები თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მეორე – თანამედროვე საზოგადოება და მეორეული ურთიერთობები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეტიკეტის ნორმებზე ანუ კულტურულ ნორმებზე, რაც არეგულირებს ქალაქებში უცხოებს შორის ურთიერთქმედება. პიროვნება იმიტომ იცავს ამ ნორმებს – რომ მას აქვს პირადი კავშირები სხვა ხალხთან ან რაიმე საფასურს ელოდება ამ საქციელისთვის.

2.3 მარკ გრანოვეტერი „სუსტი და ძლიერი კავშირების ძალა“

ქსელური თეორიისა და ჰარვარდის სტრუქტურალისტური სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის **მარკ გრანოვეტერის** (Mark Granovetter) კონცეფციის თანახმად, ქსელი მსგავსი (საერთო) ინტერესების მქონე ადამიანთა გაფართოებული ჯგუფია, რომლებიც ურთიერთქმედებენ ურთიერთმხარდაჭერის მიზნით არაფორმალური კონტაქტების საშუალებით.

გრანოვეტერი 1985 წელს აქვეყნებს ნაშრომს: '*Economic Action and Social Structure: The Problem of Embeddedness*'. ანთროპოლოგ **კარლ პოლანისეულ** 'embeddedness'-ის გაგებაზე დაყრდნობით ის ახდენს მოცემული ცნების ინტერპრეტირებას, როგორც ეკონომიკის ჩართულობის სოციალურ სტრუქტურა-

ში. ამ მიდგომით გრანოვეტერი ავითარებს კონცეფციას, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ეკონომიკური მოქმედება სოციალურად განპირობებულია და მისი შესწავლა, გაგება შეუძლებელია ცალკეული ინდივიდების მოტივაციების შესწავლის გარეშე. ის ჩართულია პირადი კავშირების ქსელში, რაც გულისხმობს რეგულარულ ინდივიდუალურ ან ჯგუფურ სოციალურ კონტაქტებს ქსელის წევრებს შორის (Granovetter 1992).

სოციოლოგიაში ქსელის გაგებისათვის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ექვივალენტობის კონცეფციაა (Mizruchi 2001). სტრუქტურული ექვივალენტობის კონცეფციის თანახმად, ქსელი არის სოციალური აქტორების კავშირების ერთობლიობა. მოცემული ქსელის ფარგლებში სოციალური აგენტები ჯგუფდებიან დაკავებული პოზიციების და რესურსების ტიპების რელევანტურად. სწორედ სტრუქტურა განსაზღვრავს აქტორების კონფიგურაციას, ხოლო კონფიგურაცია განსაზღვრავს კავშირებს აქტორებს შორის. დიფერენცირებულ პოზიციებს შორის ხორციელდება სხვადასხვა ტიპის რესურსების გაცვლა.

სტრუქტურულ ექვივალენტურობასთან ახლოს დგას ქსელის კოლემანისეული (James S. Coleman) სოციალური კაპიტალის განსაზღვრება: სოციალური კაპიტალი პროდუქტიულია – ხელს უწყობს მიზნის მიღწევას და აადვილებს სოციალური აგენტების მოქმედებას სტრუქტურის შიგნით (Coleman 1986).

არალეგალი მიგრანტების ადაპტაციის სტრატეგიების კვლევის პროცესში ქსელური თეორია დასაქმების და შრომითი ურთიერთობების კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. თემაზე საუბარს დავიწყებთ სამსახურის მოძიების სფეროში ჩატარებული კვლევების მოკლე მიმოხილვით.

სამსახურის მოძიება ეს არის „წყვილის მოძებნის პროცესი“ (mating proces), რომელიც გულისხმობს სამუშაოს მაძიებლის და დამსაქმებლის შეხვედრას. ამ პროცესში ორივე ტიპის სოციალური აქტორი ფართოდ არის წარმოდგენილი. რეალობა აჩვენებს, რომ ყოველ კანდიდატთან შეხვედრა, გასაუბრება და თითოეული სამუშაოს მაძიებლის განცხადების, რეზიუმეს წაკითხვა ხშირ შემთხვევაში დროის არაეფექტური ხარჯვაა. როგორც წესი, დამსაქმებელს და სამუშაოს მაძიებელს ერთმანეთის შესახებ გარკვეული ინფორმაცია უშუალო შეხვედრამდე გააჩნია. „წყვილის მოძებნის პროცესი“ უმეტესწილად სწორედ ასეთ შემთხვევაში მთავრდება წარმატებით (Пауэлл и Смит-Дор 2003). **ამ მოვლენას „სუსტი კავშირების ძალას“ (Granovetter 1973, 1974) უწოდებენ**.

ქსელურ თეორიაში **„სუსტი კავშირების ძალის“** შესახებ ემპირიული არგუმენტები გრანოვეტრემა ჩამოაყალიბა (Granovetter 1973, 1974, 1995). ადამიანები ბუნებრივად მიისწრაფვიან მსგავს ადამიანებთან კონტაქტებისაკენ (მსგავსი რესურსებით და ინფორმაციით). იშვიათი და სუსტია კავშირები ადამიანებთან, რომლებიც ჩვენგან განსხვავდებიან. გრანოვეტერი ურთიერთობების მისწრაფების ამ ლოგიკაზე დაკვირვებით და ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ სწორედ ამგვარი ტიპის სუსტი არაფორმარლური კავშირები შეიძლება ყველაზე ეფექტური აღმოჩნდეს, რადგან ისინი ახალი ტიპის რესურსების ხელმისაწვდომობის საშუალებებს იძლევა.

გრანოვეტერმა 1974 წელს თავის კლასიკურ ნაშრომში **'Getting a job'** აღწერა და გააანალიზა ბოსტონის გარეუბნის ნიუტონის მაცხოვრებელი რამდენიმე ათასი პროფესიონალისა და მუშის მიერ სამუშაოს მოძიების გზები; დეტალური გამოკითხვა ეხებოდა საკითხს – რა არხების საშუალებით მიიღეს ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 56%-ი მოეწყო სამსახურში პირადი კავშირების და არა სპეციალური დასაქმების სააგენტოების ან განცხადებების საშუალებით. მხოლოდ 19%-მა გამოიყენა ოფიციალური საშუალებები (სარეკლამო განცხადებები, დასაქმების საააგენტოები). დაახლოებით 20%-მა პირდაპირ მიმართა დამსაქმებელს.

გამოკითხულთა უმრავლესობამ ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია შემთხვევითი ნაცნობებისაგან ან სხვა სუსტი კავშირების მეშვეობით მიიღო. მათგან ვინც დასაქმდა პირადი კონტაქტების საშუალებით 16,7% საჭირო ადამიანს ანუ საკონტაქტო პირს „ხშირად“

ხვდებოდა (როგორც ახლო მეგობრის შემთხვევაშია); 55,6% „შიგადაშიგ"; ხოლო 28% „იშვიათად" (Granovetter 1974).

მოცემულ კვლევაში კავშირების ძალა განიხილება დროსთან, ემოციების ინტენსიურობასთან, ნდობასთან და ნაცვალგებით ურთიერთობებთან ერთობლიობაში. მიღებული შედეგები გრანოვეტერმა ახსნა იმით, რომ ძლიერი კავშირები ინფორმაციულად ამოწურვადია. ნათესავები და ახლობლები ერთმანეთს არსობრივად მსგავს ინფორმაციას გადასცემენ. ნაცნობები კი პირიქით სხვადასხვა სოციალურ წრეებს მიეკუთვნებიან, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ამიტომაც აქვთ წვდომა განსხვავებული ტიპის ინფორმაციის წყაროებთან.

სუსტი კავშირები არის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც სუბიექტის წინსვლას განაპირობებს (ინდივიდის კარიერაში, კომპანიის ბაზარზე). ამავდროულად, სწორედ სუსტი კავშირები ხდებიან სოციალური მობილობის ძლიერი მექანიზმები. განსხვავებით სუსტი კავშირებისგან, ძლიერი ურთიერთკავშირები, ინფორმაციის იმგვარი წაყაროები, რომლებიც ნაკლებად განსხვავდება იმ ინფორმაციისგან, რომელსაც თავად სუბიექტი ფლობს (მაგ. სამსახურის ძიების პრაქტიკა ნაცნობებით და ძველი თანამშრომლების საშუალებით და ა.შ.) (Пауэлл и Смит-Дор 2003). მეტწილად მეგობრები საერთო სფეროში ტრიალებენ. ისინი შეიძლება ერთად მუშაობდნენ, ან ცხოვრობდნენ ახლოს, დადიოდნენ იგივე ეკლესიებში, სკოლებში ან იგივე წვეულებებზე.

რამდენად განსხვავებულ ინფორმაციას შეიძლება ფლობდნენ ისინი? ნაცნობები კი სხვა სივრცეებსა და გარემოში ტრიალებენ. მათ ბევრად უფრო დიდი ალბათობით ეცოდინებათ რაღაც, რაც თქვენ არ იცით. სხვა სიტყვებით ნაცნობები წარმოადგენენ ინფორმაციის მოპოვების ძლიერ რესურსს; რაც უფრო დიდია სანაცნობო წრე, მით უფრო ძლიერია ინფორმაციის წყაროები. შესაბამისად, როდესაც საუბარი სამსახურის მოძიებაზე (ან ინფორმაციის ან იდეის), „სუსტი კავშირები" უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ახლო ანუ „ძლიერი კავშირები". უპირატესობა სამსახურის მოძიებაში აქვს მას ვისაც აქვს არა გადამკვეთი კონტაქტების უფრო ფართო ქსელი.

ქსელები მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ; პირადი კომუნიკაციის დროს გადაიცემა ინფორმაცია რომელიც არ ცირკულირებს საჯარო არხებით. უფრო მეტიც არსებობს მონაცემები, რომლებიც ამტკიცებს, რომ სამუშაო რომელიც მოძიებულია ქსელის მეშვეობით უფრო პერსპექტიული და უფრო მაღალან აზღაურებადი; დიდი ალბათობით ის ახლად შექმნილი სამუშაო პოზიციაა, რომლის დასაკავებლად არ იბრძვიან სხვა პრეტენდენტები (Granovetter 1974 გვ.14–16).

სხვადასხვა შრომის ბაზრებზე კავშირებს განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა აქვთ. ამ ეტაპზე ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხი, რომელიც დგას როგორც სოციოლოგიის, ასევე ეკონომიკური თეორიის წინაშე (Montgomery 1991, 1992; Granovetter 1986).

მონტგომერმა (John Montgomery) აღმოაჩინა, რომ შრომის ბაზარზე კანდიდატის შანსებზე გავლენას ახდენს პირადი სოციალური ქსელის კონფიგურაცია (network composition). სუსტი კავშირების ამოქმედებას ცალსახად არ მივყავართ უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურამდე (Montgomery 1992). ეს შედეგები უნდა განვიხილოთ უფრო ფართო კონტექსტში. **კემბელი** და სხვები (Campbell et al. 1986) ამტკიცებენ, რომ ქსელები – არის რესურსი და სხვა სახის რესურსების მსგავსად ის საზოგადოებაში არათანაბრადაა განაწილებული. მეგობრული ქსელებისა და სანაცნობო ქსელების კვლევები იძლევა ერთსა და იმავე შედეგებს: რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო ფართო ქსელი აქვს და მით უფრო მაღალი ალბათობით მოიცავს თავის ურთიერთობის ქსელში შორეულ ნაცნობებს, ე.ი. „სუსტ კავშირებს" (Fischer 1982; Marsden 1987; Burt 1990). ნაკლებად განათლებული ინდივიდები უფრო დიდი ალბათობით შემოსაზღვრავენ საკუთარ წრეს ნათესავებთან ურთიერთობით ანუ „ძლიერი კავშირებით" (Burt 1990). ინდივიდებს მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსით უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ (როგორც სამსახურში, ასევე სოციალურ წრეში) დაამყარონ

სუსტი კავშირები მათთან, ვისაც უკავიათ გავლენიანი პოზიციები. ადამიანებს უფრო დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსით და უფრო ვიწრო სოციალური ქსელებით ასეთი შესაძლებლობები ნაკლები აქვთ და შესაბამისად, მათი წვდომა სხვადასხვა რესურსების უფრო შეზღუდულია. განსხვავებები ქსელის შემადგენლობაში (network composition) არ განსაზღვრავს რამდენად მნიშვნელობს ის ადამიანისათვის.

3. არაფორმალური ქსელის გავლენა მიგრაციულ პროცესებზე

3.1 არაფორმალური მიგრაციის ძირითადი ინფორმანტების იდენტიფიცირება

სოციალური ქსელები, რომლებშიც სხვადასხვა სოციალური აგენტები არიან ჩართულები ერთ-ერთი ძირითადი ინფორმაციული რესურსია მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით. სოციალურ ქსელებზე ორიენტაცია ძლიერდება მატერიალური სირთულეების ფონზე და გამოსავლის ძიების სტრატეგიებიც სწორედ ქსელის შიგნით აქტორებს შორის კომუნიკაციის პროცესში ყალიბდება. მიგრაციით დაინტერესება, საზღვარგარეთ გამგზავრება დასაქმების და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, როგორც წესი, არის სოციალურ ქსელში რელევანტური ინფორმაციის, გამოცდილი მიგრანტების პრაქტიკების გაცნობის და დამხმარე პირების მოძიების გადამწყვეტი მოტივატორი.

რესპონდენტების ინფორმაციით ყველაზე მეტი ქართველი კონცენტრირებულია იტალიის ქალაქ ბარიში, პულიას რეგიონში. ბარი არის ქალაქი, სადაც 2000-იანების დასაწყისში, ქართველებმა პირველად დაიწყეს შესვლა, ძირითადად არალეგალური გზებით, „ანუ როდესაც იტალიაში „გზა გაიჭრა“. აღნიშნულ გარემოებას გეოგრაფიული ფაქტორები განაპირობებს, ბარის საბერძნეთთან სიახლოვე, სადაც მრავლად არიან ქართველი მიგრანტები. საბერძნეთიდან იტალიაში გადმოსვლის მსურველთათვის ეს მიმართულება, ამ მხრივ, შედარებით ადვილად მოსახერხებელი გზების მოძიებით ხასიათდება. ასევე, ბევრი ქართველია ქალაქებში: რეჯო ემილია, რომი, ნეაპოლი, ფლორენცია, მილანი და ა.შ.

იტალიაში არალეგალი ქართველი მიგრანტები მხოლოდ საბერძნეთიდან არ ჩადიან. საქართველოდან მიგრაციის მსურველთა საკმაოდ დიდი ნაკადის იტალიაში გადინება განპირობებულია იტალიაში ქართველ არალეგალ მიგრანტთა მეტ-ნაკლებად წარმატებული ადაპტაციის სტრატეგიების არსებობით. ძირითადად ინფორმაცია პოტენციურ არალეგალ მიგრანტებში ცირკულირებს მეგობრების, ნათესავების წრეში, რომლებიც მუშაობენ საზღვარგარეთ ან ცხოვრობენ საქართველოში და ყავთ ახლობლები საზღვარგარეთ. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კონკრეტულად გამგზავრებისა თუ დასაქმების დეტალების შესახებ ახლობლების დახმარების იმედით არაერთი პოტენციური არალეგალი მიგრანტი იღებს გადაწყვეტილებას იტალიაში გამგზავრების შესახებ.

> *„ჩემი მეზობელი ქალი, ვისი იმედითაც ჩამოვედი იტალიაში, აეროპორტშივე დამხვდა და მის ნაქირავებ ბინაში ვიცხოვრე დასაქმებამდე. ის უკვე 10 წელია იტალიაშია. მანვე დამაწყებინა სამსახური ორ კვირაში.“*

რიგ შემთხვევებში ახლობლის დაპირება უცხო ქვეყანაში არალეგალ მიგრანტად ცხოვრებისა და დასაქმების ხელშეწყობის შესახებ არარეალურია და არაერთი შემთხვევაა, როდესაც ადამიანი მოტყუებული და ბედის ანაბარა რჩება.

> *„ბევრისგან გამიგია, დაპირდნენ, აეროპორტშიც ხვდებოდნენ და მერე უპატრონოდ დარჩენილები შველას სხვას სთხოვდნენ.“*

> *„ქალი, რომელიც უნდა დამხმარებოდა, საავადმყოფოში დამხვდა. ამიტომ დავრჩი ღვთის ანაბარა. მაგრამ ყოფილმა თანამშრომელმა თავისი პატრონის დის ოჯახში დამაწყებინა მუშაობა. წელიწადნახევარი ძლივს გავძელი. ამის შემდეგ 5 თვეში 5 სამსახური გამოვიცვალე.“*

> *„საქართველოდან ადვილი გონიათ იტალიაში ცხოვრება, რომ ეუბნები არ სჯერათ,*

გონიათ აქ ვზივართ და თვეში ორჯერ გვაძლევენ ხელფასს, ზოგი ასეც ამბობს – შენ წახვედი და გინდა სხვა არ წაიყვანო.“

მოტყუების პრაქტიკა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და აპრობირებულია. სამშობლოდან გამგზავრების წინ დასახულ გეგმებს აბსოლუტურად ცვლის დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ შექმნილი ვითარება. ხშირ შემთხვევაში გამოსავალი ძალიან რთული საპოვნელია.

*„მე და ჩემი ქმარი სტუდენტები ვიყავით. მატერიალური მდგომარეობის გამო მეუღლემ საზღვარგარეთ გადაწყვიტა წასვლა. ერთი წლის შემდეგ ორ მცირეწლოვან ბავშვთან და ბიძაშვილთან ერთად მეც გავემგზავრე. რამდენიმე დღე სასტუმროში უნდა გავჩერებულიყავით და გვენახა ადამიანი, რომელიც არალეგალური გზით გადაგვიყვანდა საზღვარზე მეუღლესთან. **თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, ეს პიროვნება აფერისტი აღმოჩნდა**. იქ ქართველები გავიცანით. ისინიც მსგავს მდგომარეობაში იყვნენ.“*

იტალიაში ქართველი არალეგალი მიგრანტების უმრავლესობამ შეძლო ვიზის საკითხის მოგვარება, ბილეთის შეძენა და როგორც რესპონდენტები აღნიშავენ „ალალბედზე წავიდა ქვეყნიდან და დარჩა, სტრესულ გარემოში.“

3.2. სამუშაოს საძიებლად უცხოეთში წამსვლელები/წასულების პრობლემები

ახალ ქვეყანასთან, გარემოსთან და სოციუმთან, ადაპტაცია რომელიც არაერთი რთული გამოწვევის წინაშე აყენებს არალეგალ მიგრანტებს ძლიერ მორალურ-ფსიქოლოგიურ მზაობას საჭიროებს. სირთულეების გადალახვის, მათი გამკლავების მზაობა სოციალურ აქტორებში ინდივიდუალურია. არალეგალ მიგრანტთა ნაწილი, რომელთაც შედარებით რეალისტური მოლოდინები აქვთ, უფრო მეტ მზაობას ავლენენ და რაციონალურად წყვეტენ პრობლემებს, ხოლო ნაწილის მოლოდინები ნაკლებად შეესაბამება ან მკვეთრად აცდენილია რეალობას, შესაბამისად მზაობა ნაკლებია და ჭარბობს დაძაბულობა და დაბნეულობა. მათთვის სირთულეების გადალახვა არაერთ მძიმე ემოციურ-ფსიქოლოგიური სტრესის ფონზე მიმდინარეობს.

„აქ ჩამოსვლამდე რამდენჯერმე უკვე ნამყოფი ვიყავი ევროპაში ჩემი პროფესიიდან გამომდინარე. მე ყველანაირად, მორალურად და ფსიქოლოგიურად მომზადებული ვიყავი, რომ უნდა ამეტანა ნებისმიერი ცუდი ოჯახი, ნებისმიერი რთული სამსახური, თუ რთული მომენტი, თუკი ასეთი შემხვდებოდა.“

არაფორმალური მიგრანტები დასაქმების წარმატებულ მაგალითში გულისხმიერ დამსაქმებელს და „ადამიანურ“ სამუშაო პირობებს მიიჩნევენ. იგულისხმება, რომ მიგრანტი არ არის გაუსაძლის პირობებშია, არ ეწევა კარჩაკეტილ ცხოვრებას, არ ყავს მოსავლელი ჭირვეული, მძიმე ავადმყოფთი მოხუცი, არ უხდება ხელფასის გამო ბევრი დამცირების ატანა, ხელფას დროულად ღებულობს.

„მე გამიმართლა და ბევრი ლოდინის შემდეგ კარგი ოჯახი შემხვდა. არაჩვეულებრივად მიმიღეს, როგორც შვილი, როგორც და. მათთან აღარ ვმუშაობ, მაგრამ კავშირი ისევ მაქვს. ჩემს მრავალ მეგობარს საკმაოდ უჭირს აქაური ცხოვრება. ბევრიც გაუსაძლის პირობებშია სამსახურში, კარჩაკეტილი ცხოვრება ჭირვეულ მძიმე ავადმყოფთან ბევრს უჭირს. თუმცა გამოსავალი არ აქვთ. კარგი და ცუდი ყველგან არის. ასეა აქაც. ხელფასის გამო ბევრი დამცირების ატანაც გვიწევს.“

ადაპტაციის პირველი ეტაპის გავლა ახლობლებისა და არალეგალი ქართველების ურთიერთ თანადგომით ხორციელდება. ინფორმაცია და გამოცდილების გაზიარება სამუშოს მოძიების სტრატეგიების შესახებ სწორედ ამ წრეში ვრცელდება. ეს ქსელი ხასიათდება ე.წ. რეციპროკულობით, ანუ ურთიერთსარგებლის პრინციპით – ხდება ქსელის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლა და დახმარება.

*„5 თვეში „ბებია“ გარდაიცვალა. მისმა ქალიშვილმა 4 თვე დამტოვა და ხელფასიც შემინარჩუნა. ამის შემდეგ დაიწყო დროებითი სამსახურები, **ისიც ახლობლების დახმარებით**. იყო მომენტი, 4 თვე*

უმუშევარიც ვიყავი. თუმცა, ჩემი ბრალი ყოფილა. არ ვიცოდი, რომ ***არსებობდა საიტები, სადაც ფოტოთი განცხადებას გამოაქვეყნებ****, რა ტიპის სამსახურს ეძებ, არ შეიძლება, ვინმე არ გამოგეხმაუროს.“*

3.3. არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეები: ინფორმირებულობის დონე და წყაროები

არალეგალი მიგრანტების ინფორმაციით სამხრეთ და ჩრდილოეთ იტალიაში როგორც დასაქმების, ასევე არალეგალი მიგრანტების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა. იტალიის ჩრდილoეთ რეგიონში სამართალდამცველების მხრიდან კონტროლი და დეპორტაციის მეტი შემთხვევები ფიქსირდება, ვიდრე სამხრეთში. არალეგალების დასაქმების თვალსაზრისითაც სამხრეთი მეტ მზაობას ავლენს, ვიდრე ჩრდილოეთ იტალია, სადაც რეიდების და ქუჩაში კონტროლის, გაჩერების და საბუთების წარმოდგენის ოთხოვნის შემთხვევებს არალეგალი მიგრანტები უფრო ხშირად აწყდებიან.

„ჩრდილოეთით არალეგალისთვის სამსახურის პოვნა რთულია, მით უმეტეს თუ ენაც არ იცი. ყველაზე კარგია ამ შემთხვევაში სამხრეთი. ამ რეგიონში ქართველი დამსაქმებლები (პირები რომლებიც არალეგალ მიგრანტებს სამუშაოს ძიების პროცესში დახმარებას უწევენ გარკვეული საფასურის სანაცვლოდ) არიან და უფრო შანსია სამსახურის პოვნის. მამაკაცის სამსახური კი ნამდვილად ჭირს.“

„თუ მამაკაცი მოსაპარად არ მოდის და მუშაობას არ ითაკილებს, ჯობია სამხრეთ იტალიაში წახვიდეთ, იქ უსაბუთოზე გართულება არ არის.. ჩრდილოეთში უფრო ეშინიათ კანონის და იცოდეთ, რომ სამსახურის შოვნის შანსი გექნებათ ნული.“

არალეგალი მიგრანტისათვის სამუშაოს მოძიების პროცესში დასაქმების წარმატებულ სტრატეგიად მიჩნეულია შრომისმოყვარეობა და წარმატების ეტაპობრივად მიღწევის გაცნობიერება.

„მშრომელი და მონდომებული ადამიანისთვის ყველგანაა სამსახური. აქ ჩამოსული სახლში კი არ უნდა ჩაჯდეს და იტიროს უიღბლობა. ყველა უნდა შეაწუხო და გაიკითხო! ასეთი სულ იპოვის. ჩრდილოეთში ენას სანამ არ ისწავლი ვფიქრობ არ ღირს. პირველი საფეხურისთვის თუ წუნია არა ხარ ყველგან უნდა შეხვიდე, ეგრე ენასაც დაამუშავებ.“

სად არის უკეთესი პირობები სამუშაოს დასაწყებად: „რეჯიო კალაბრიაში ჩამოდით, აქ მოდიან უსაბუთოები, დაუკავშირდით ნანა დამსაქმებელს და ის მოგეხმარებათ. კაცის სამსახური აქ ნაკლებად არის, აქ ბაბანტე თუ იმუშავებს შეიძლება იშოვოს თუ იკადრებს.“

საგულისხმო ტერმინებს იყენებენ არალეგალი მიგრანტები: **პატრონის ყოლა და გამართლება, რისკი, „ვინც ეძებს ის პოულობს“** – სამსახურის მოძიების პროცესის აუცილებელი თანმდევი წინაპირობებია.

„ერთ რჩევას მოგცემთ ... პატრონი სადაც გყავთ იქ ჯობს წასვლა ... ვიღაცის იმედი მაინც გექნებათ რომ დაგეხმარებათ, თუ ვიმნე გპირდებათ რომ გიშოვნით სამსახურს, ასე უფრო შეიძლება, სადაც კარგი მეგობარი გეგულებათ იქ წადით“.

არალეგალ მიგარანტა რაოდენობის ზრდა კორელაციაშია (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი) დასაქმების ბაზარზე კონკურენციასთან, რომელიც მზარდია და იმავდროულად ანაზღაურების და სამუშაო პირობების ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზრდა ოჯახის გაერთიანების მიზნით უფრო მიმდინარეობს. იმ ქართველებს, რომლებიც წლებია იტალიაში ცხოვრობენ და აქვთ იტალიაში ლეგალურად ცხოვრების და მუშაობის უფლება ჩამოყავთ მეუღლეები და შვილები, რადგან იტალიური კანონმდებლობა იძლევა ამის საშუალებას.

ნიშანდობლივია რომ დასაქმების ბაზარს გარკვეულწილად არეგულირებს ე.წ. დამსაქმებელი, აღნიშნულ პოზიციაზე ძირითადად წარმოდგენილები არიან ქართველები ანუ ის პირები რომლებიც არალეგალ მიგრანტებს სამუშაოს ძიების პროცესში დახმარებას უწევენ გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

„ყოველ დღე რომ ჩამოდიან ემიგრანტები, თქვენი აზრით სიტუაცია არ შეიცვლებოდა, არჩევანი აქვთ უკვე დიდი იტალიელებს, უენო დროებით და ისიც დაბალ ხელფასიანი. დამსაქმებელთან 30-40 ქალი ზის თვეობით. ყველაფერი გამართლებაზეა.“

დასაქმების პროცესში მიგრანტებს, განსაკუთრებით არალეგალებს ზემოთ აღწერილ პრობლემებს ემატება უპირველესად ის, რომ მათ დიპლომებს, კვალიფიკაციას ევროპაში არავინ ცნობს. ამიტომ, ძირითადად, არაკვალიფიციურ, მძიმე შრომას, სამსახურს თანხმდებიან. შესაბამისად არის შემთხვევები, როდესაც არ ხდება მიგრანტების შრომითი შესაძლებლობების, პოტენციალის და პროფესიონალიზმის სათანადო გამოყენება.

3.4. არალეგალური მიგრანტების ადაპტაციის სტრატეგიები

არალეგალ მიგრანტთა ნაწილს აქვს ილუზორული, არარაციონალური წარმოდგენა ახალ ქვეყანაში ადაპტაციასთან დაკავშირებით, რაც რესოციალიზაციის პროცესს ართულებს, ხოლო ფსიქოლოგიურ სტრესს აძლიერებს. სირთულეების გადალახვა ფაქტობრივად ან მარტოს უხდება ან ძირითადად მათსავე მდგომარეობაში მყოფი, შედარებით გამოცდილი თანამემამულეების დახმარებით. ახლობლების მხარდაჭერის დეფიციტი მწვავეა და ხშირად გაუსაძლისი.

„თავდაპირველად, ეს ძალიან იოლი გეჩვენება. გგონია, იქ ყველაფერი მზამზარეული დაგხვდება, მაგრამ ჩასვლისთანავე ხვდები, თურმე ცდებოდი. საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული სამსახურის პოვნა. ამას ისიც ემატება, რომ ენა არ იცი, უცხო ქვეყანაში ხარ და არ გაქვს საბუთები. ხელფასი მხოლოდ თავის შესანახად და ბინის ქირის გადასახდელად გყოფნის.“

„რატომღაც გვგონია, უცხოეთში გამგზავრებით პრობლემები გადაიჭრება... რომ იქ ყველაფერი იოლია და თავისით მოდის... მაგრამ ეს ასე არ არის! ვერანაირი მატერიალური კეთილდღეობა ვერ გადაწონის იმ სულიერ ტკივილს, რასაც ემიგრანტი განიცდის. ვისაც არასოდეს უტარებია ემიგრანტობის ტვირთი, მისთვის ძნელია გულთან ახლოს მიიტანოს ის პრობლემები, რაც უცხოობაში მყოფ ადამიანს სამშობლოს მიტოვებისთანავე ექმნება.“

მიგრანტების ნაწილის აზრით, უცხოობაში ორმაგად რთულია დაბრკოლებების გადალახვა.

„ფაქტობრივად, იგივე მდგომარეობაში ხვდები, როგორშიც საქართველოში იყავი. მეტიც, აქაური პირობები სანატრელი გიხდება. სამშობლოში გაჭირვებას უფრო იოლად გადაიტან, რადგან გვერდით გყავს ახლობლები, მეგობრები, რომლებიც სიტყვით მაინც შეგეწევიან და განუგეშებენ.“

რესოციალიზაციის პროცესი ინდივიდუალურია, რომელიც არაერთ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორზეა დამოკიდებული. სოციალური აქტორების ნაწილს ადაპტაცია ახალ პირობებთან არა მხოლოდ არალეგალური მიგრაციის საწყის ეტაპზე უჭირს, არამედ ეს სტრესი გრძელდება წლების განმავლობაში.

„ხუთი წელია აქ ვარ და მაინც ვერ შევეგუე აქაურ ცხოვრებას. ყოველი ღამე და დილა ცრემლიანი ლოცვით იწყება.“

სოციალური აქტორების ნაწილისათვის ადაპტაცია დასაწყისში ნაკლებად რთულია, მაგრამ დროთა განმავლობაში ძლიერდება ნოსტალგიის და ახლობლების მონახულების სურვილი. ხოლო არალეგალად ყოფნა ფაქტიურად აპრიორი გადაადგილების შეზღუდვას ნიშნავს.

„2 წლის შემდეგ ნელ-ნელა დამეწყო ნოსტალგია და „უსაბუთობის“ გამო ვერ ვბრუნდები. რა გზა არ ვცადე, არაფერი გამომივიდა. ასე მგონია, თუ ერთხელ მაინც არ ჩავალ საქართველოში, ველარ გავუძლებ. თანაც ახლობლები მაშინებენ, აქ რომ ჩამოხვიდე, რა უნდა აკეთო, ყველას ევროპისკენ გვიჭირავს თვალიო.“

უცხო გარემოში ადაპტაციის პროცესი არალეგალი ოჯახური წყვილებისთვისაც პრობ-

ლემურია, ზოგ შემთხვევაში იმდენადაც, რომ არავის ურჩევდნენ მათი გამოცდილების გაზიარებას.

„მიუხედავად იმისა, რომ არ ვარ მარტო და მეუღლესთან ერთად ვუძლებ აქაურ ყოფას, ფსიქოლოგიურად მაინც მიჭირს. მათ, ვისაც აქეთკენ უჭირავს თვალი, მინდა ვუთხრა: არასდროს ინატრონ ევროპაში წასვლა. საკუთარ ქვეყანაში, დედასამშობლოს მზით გამთბარი შავი პური გერჩიოთ, ვიდრე აქაური ხიზილალა. მეურნეობებში კაცებისთვის ძნელია მუშაობის დაწყება. ბევრი უსაბუთოა და იმიტომ. თანაც მძიმე შრომაა და შრომის შესაბამისი ანაზღაურებაც არ არის. ამიტომ ვინც ქმართან ერთად ჩამოვედით, ძირითადად, ჩვენ გვიწევს მათი შენახვა.“

არალეგალი მიგრანტების მხრიდან სოციალური გარემო, ადგილობრივ მოქალაქეებთან ურთიერთობა, უმრავლეს შემთხვევაში პოზიტიურად ფასდება.

„ადგილობრივებზე ცუდს ვერ ვიტყვი. ქუჩაში, როგორც მოქალაქეს, ცუდად არავინ არ გექცევა. აქაური ხელისუფლებისგან ბევრი დახმარებაა ემიგრანტებზე. გახსნილია უფასო სასადილოები, მეტ-ნაკლებად არიგებენ ტანსაცმელსაც. უსაბუთოებს სამედიცინო დახმარება უფასოდ აქვთ. საბუთიანებს შეღავათებს უწევენ.“

3.5. არაფორმალური ქსელის ფორმირების პროცესი საზღვარგარეთ

არაფორმალური სოციალური ქსელის სტრუქტურის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნეტ სოციალური ქსელებია, რომლებიც იქმნება საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტების მიერ. მიგრანტთა მცირე ჯგუფები, რომლებსაც აქვს იტალიაში ცხოვრების გამოცდილება და უკეთ არის ადაპტირებული და ინტეგრირებული სოციუმში სოციალური ქსელებში ქმნიან მიგრანტების ინტერნეტ გვერდებს და უწევენ მათ ადმინისტრირებას. მიგრანტთა ინტერნეტ სოციალური ქსელების რაოდენობაც საკმაოდ დიდია და მომხმარებელიც ბევრი ყავთ. მაგალითად ერთ-ერთი პოპულარული „იტალიური ჯგუფი“ რაოდენობრივადაც და თემატურადაც საკმაოდ დიდია. გვერდის ადმინისტრაციის განცხადებით ჯგუფის მომხმარებელთა რაოდენობა 10 000 წევრს შეადგენს.

„ჩემო ძვირფასო ჯგუფის წევრებო! გილოცავთ! დღეს ჩვენმა ჯგუფმა მე–10 000–ე წევრი მიიღო. ეს გახლავთ ემიგრანტი ქალბატონი მილანიდან. იმედი მაქვს, დიდი სიყვარულით და ენთუზიაზმით შემოუერთდება ჩვენს დიდ, მოსიყვარულე და თბილ ოჯახს. სულ რაღაც ნახევარი წელია, რაც ჩვენი ჯგუფი დაარსდა. ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ ასეთ მოკლე დროში, ასე გავბევრდებოდით და ამდენი რამის გაკეთებას შევძლებდით.“

ჯგუფის მიზანი დეკლარირებულია:

„ერთობლივი ძალისხმევით, ერთმანეთის დახმარებით და გვერდში დგომით, სასიკეთო საქმე გააკეთა. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ერთმანეთი გავიცანით, წლობით დაკარგულ და გაფანტულ მეგობარ-ახლობლებს ერთმანეთი ვაპოვნინეთ. გვიჭირს თუ გვილხინს აქ, ამ ჯგუფის საშუალებით ვუზიარებთ ერთმანეთს სიხარულს თუ ჩვენს გულისტკივილს.“

ერთ-ერთი Facebook გვერდის განცხადებით, ადგილობრივად არ არსებობდა ძლიერი ემიგრაციული გვერდი, სწორედ ამიტომ ემიგრანტთა ჯგუფმა გადაწყვიტა შეექმნა Facebook გვერდი იტალიაში მყოფი ქართველი ემიგრანტებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათ იქაურ ადაპტაციას – ინფორმაციით, სამართლებრივი, ჯანმრთელობის საკითხების და სხვა სახის კონსულტაციებით, ლიტერატურული სტატუსებით, საჭირბოროტო თემების გარჩევებით და ა.შ. ინტერნეტ გვერდის ამოცანაა, მჭიდრო კონტაქტების დამყარება და კონსტრუქციული თანამშრომლობა იტალიაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსთან და საკონსულოსთან. თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს ქართველმა და იტალიელმა, იურიდიული, საკონსულტაციო და სხვა ტიპის საქმიანობით დაკავებულმა პიროვნებებმა და ორგანიზაციებმა. ასევე საგულისხმოა, რომ გვერდის „კარი” მუდმივად ღიაა იტალიაში მყოფი სხვა ეროვნების ემიგრანტებისა და თვით იტალიელებისთვის, რის

გამოც ხშირად, მასზე ინფორმაცია იტალიურ ენაზეც დაიდება.

გვერდის პრიორიტეტია საქმიანი, შემოქმედებითი და იუმორისტული სტილი. ინტერნეტ გვერდის ადმინისტრაცია აკრიტიკებს სხვა ემიგრაციული გვერდებს, სადაც მათ ტერმინებს თუ გამოვიყენებთ განთავსებულია: *„ვაი–ვიში", ლოცვა–კურთხევა და უნიჭო საავტორო ლექსების – სოციალური ქსელის გვერდი ინფორმაციის საშუალებაა და არა სასაფლაო, ეკლესია ან უნიჭობის ანთოლოგია."*

ინტერნეტ სოციალურ ქსელში ხშირად იდება პოსტები, რომელსაც იტალიური ენის შესწავლის საგაკვეთილო პროცესის სახე აქვს მიცემული და გრამატიკული-ლექსიკური კომპეტენციების ასამაღლებლად არის განკუთვნილი. ასევე, ნოსტალგიური განწყობისა და პოეტური, ლირიკული ხასიათის, კულტურულ-საგანმანათლებლო პოსტებიც არის წარმოდგენილი (იხ. დანართი 1. ნოსტალგია პოსტერებში).

მიუხედავად, აღნიშნული თემატიკების წარმოჩენისა, ერთ-ერთ წამყვან და აქტუალურ საკითხად სამუშოს მაძიებელთა დახმარება რჩება. არალეგალი თუ ლეგალი მიგრანტები სამუშაოს მოძიების საკუთარ გამოცდილებას, რჩევებსა და კონკრეტულ დახმარებებს სთავაზობენ და უზიარებენ ერთმანეთს. რამდენად ეფექტურია სამსახურის მოძიების ეს გზა რთული სათქმელია. ფაქტია, რომ ის არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს და ძალისხმევას. ცხადია, რომ ინფორმაციის გაცვლა, ცირკულირება შესაძლებლობების დანახვის, სივრცის გაფართოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ანუ შევძლებთ „სუსტი კავშირების" ძალას ემპირიაში დავაკვირდეთ.

„უსაბუთო ვარ, ენა ვიცი საშუალოდ, ერთი წელია აქ ვარ, სამზარეულოც ვისწავლე იტალიური. ვიმყოფები ტოსკანაში, კერძოს პიზაში თუ შეგიძლიათ დამეხმარეთ სამსახურის პოვნაში."

„მოგესალმებით ძვირფასო ემიგრანტებო დიდი პატივისცემით. თქვენი დახმარება მჭირდება. ვიმყოფები რომში. ვარ უმუშევარი, ვლაპარაკობ კარგად, თუმცა ვარ პერმესოს გარეშე. ოთხწლიანი გამოცდილებით. თუ ვინმეს შეგიძლიათ ჩემი დახმარება შემეხმიანეთ, მადლიერი დაგრჩებით."

„ბარის ემიგრანტებო ვეძებ სამსახურს უმუშევარი ვარ, თუ რამე გაქვთ სამსახური მითხარით, მარტო ვარ, მადლობა წინასწარ, ღმერთი თქვენსკენ."

„ამ გოგოს სჭირდება სამსახური დედა ყავს ცუდად და იქნებ დავეხმაროთ სამსახურის მოძებნაში რაც იქნება იმუშავებს."

არაფორმალური ქსელები და „სუსტი კავშირები" არა მხოლოდ არა პირისპირი ურთიერთობით ინტერნეტ სოციალურ ქსელებში იქმნება და ყალიბდება, არამედ პირისპირი ურთიერთობებითაც. არალეგალი ქართველები იკრიბებიან ძირითადად დასვენების დღეებში (რომლებიც საკმაოდ იშვიათია).

„გამოსასვლელი დღეებში ვიკრიბებით, ერთად ვსაუბრობთ და საღამოს ისევ „შინისკენ" მივიჩქარით, თითქოს ჩვენს ოჯახებში გავრბოდეთ. ასე ცრემლგამშრალები და გახევებულები ვბრუნდებით სამსახურებში. ქართველობის მადლი მაინც არ დაგვიკარგავს, ერთი ცის შვილები, როგორც შეგვიძლია, ისე ვატანინებთ სულიერ გაჭირვებასა და დარდს ერთმანეთს. ნობათს თუ ვინმე მიიღებს საქართველოდან, ერთმანეთს ვუნაწილებთ."

4. სამუშაო პირობები

4.1 სამუშაოა პირობების აღწერა: მიგრანტების გამოცდილება

შრომითი პირობები ორივე სქესისთვის მძიმეა. მკვეთრად არის გამოხატული შრომითი სეგრეგაცია. არალეგალი მიგრანტების უმეტესობა ქალია, ძირითადად, 30-50 წლის ასაკის. იტალიაში მამაკაცისთვის სამსახურის პოვნა უფრო რთულია, ვიდრე ქალებისათვის. მამაკაცების დასაქმების სფეროები ძირითადად მშენებლობა და სოფლის მეურნეობაა. (მშენებლობაზეც კი კვალიფიციურ მუშახელს ითხოვენ). არის შემთხვევები, როდესაც მომვლელის პოზიციაზე საქმდება მამაკაცი.

დამსაქმებლის ინტერესის განმსაზღვრელია გარემოება, რომ მოსავლელი სქესი მამრობითია და ნაკლებ დისკომფორტულია მათთვის მამაკაც დამხმარესთან ურთიერთობა.

შრომის ანაზღაურების საკითხი მეტ-ნაკლებად „დარეგულირებულია“ და დამოკიდებულია დამქირავებლის კეთილგანწყობაზე, მის კეთილ ნებასა და მატერიალურ შესაძლებლობებზე.

„მაგალითად, არიან ემიგრანტები, ვისაც მოხუცის მოვლისთვის უფრო მეტს უხდიან, ვიდრე ძიძობისთვის და პირიქით. მაგალითად, ჩემი მეგობარი ტყუპს ჩვილობიდანვე უვლის და მისი ანაზღაურება ამჟამად 800 ევროა. ასეთივე ანაზღაურება შეიძლება ქონდეს აქ მყოფ ქართველს მოხუცის მოვლაში, უფრო ხშირად კი მსგავსი მომსახურებისთვის თვეში 700 ევროს ან ნაკლებს უხდიან.“

„ხელფასები დაახლოებით ასეთი იყო: მოხუცი თუ ლოგინად არ იყო ჩავარდნილი, მისი მოვლისთვის თვეში 500-800 ევროს იხდიდნენ; ლოგინად ჩავარდნილი მოხუცის მოვლისთვის – 700-800 ევროს; ბავშვის ძიძას, ძირითადად, თვეში 600 ევროს და მეტსაც უხდიდნენ. ოჯახის შეძლებას გააჩნია, ზოგი კარგად იხდის და ზედმეტ გადატვირთვასაც არ ითხოვს“

დამხმარედ ან მომვლელად დასაქმების პროცესში დამსაქმებლის მხრიდან ნაკლები შეზღუდვები არსებობს როგორც ასაკობრივი, ასევე სამედიცინო განათლების მხრივ, მიუხედავად იმისა რომ არალეგალ მიგრანტებს ელემენტარული უნარ-ჩვევებიც კი არ აქვთ მედდის ან ექთნის, მაშინ როდესაც მძიმე ავადმყოფების მოვლა უხდებათ.

შრომითი ხელშეკრულება არალეგალ მიგრანტებთან იურიდიულად რა თქმა უნდა არ ფორმდება. შრომის აღწერილობა, ფუნქციები ზეპირი შეთანხმების შედეგად თანხმდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც დასაქმებულს დამქირავებელი გაცილებით მეტ სამუშაოს აკისრებს, ვიდრე ზეპირი, თავდაპირველი მოლაპარაკების პროცესში დადგინდა. მოვალეობების გაფართოვებას/მატებას არ ახლავს ანაზღაურების გაზრდა, რაც ბუნებრივია უკმაყოფილების საგანია. არალეგალი მიგრანტის გამოუვალი მდგომარეობა დამქირავებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოპყრობის საშუალებას იძლევა.

„ზოგი ერთი საქმისთვის აყავთ და მერე უამრავ საქმეს აკეთებინებენ. მაგალითად, აყავთ ქალი მოხუცის მოსავლელად და ამ დროს უზარმაზარი სახლი ხვდება დასალაგებელი ან ბავშვები მოსავლელი.“

„87 წლის ლოგინად ჩავარდნილ მოხუცს ვუვლი და ჩემი ხელფასი თვეში 650 ევროა. მოხუცების მოვლა-პატრონობის გარდა, ჩემს მოვალეობაში შედის სახლის დალაგება და საჭმლის მომზადება. შინ მხოლოდ მე და მოხუცი ვართ. ლოგინად ჩავარდნილი მოხუცის მოვლა ბევრად იოლია, ვიდრე იმის, ვისაც გადაადგილება შეუძლია. კვირაში ერთხელ ჩვენთან მისი შვილი მოდის და მიტოვებს 60 ევროს – საკვების ფულს, რომელიც პარასკევიდან პარასკევამდე უნდა ვიმყოფინო.“

ტრეფიკინგი არალეგალური მიგრანტის მიმართ მოტყუებას, ძალადობას, დაშინებასა და სისასტიკეს გულისხმობს და მიგრანტების ადგილობრივ პირობებში იძულებითი ადაპტაციისათვის გამოიყენება.

ყველაზე გავრცელებული დაპირება, რითიც ქართველი ტრეფიკერები ატყუებენ ახალგაზრდა ქალებს, ეს საზღვარგარეთ ძიძებად მუშაობის პირობაა. ასეთ სამსახურს ფირმები მომხმარებლებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში სთავაზობენ. ამ დაპირების სიცრუეში დასარწმუნებლად მარტივი ინფორმაციაა საჭირო: შეერთებულ შტატებთან საქართველოს შრომითი ხელშეკრულება არა აქვს დადებული, ხოლო გერმანიასთან სწორედ ძიძების ლეგალურად დასაქმების პროგრამა მუშაობს და არალეგალური მიგრაცია სულაც არ არის საჭირო.

რაც შეეხება მამაკაცებს, მათთვის შეთავაზებული პირობები ახლოსაა რეალობასთან და ტყუილი, ძირითადად, დაპირებულზე ნაკლებ ხელფასსა და მეტ სამუშაო საათებში მდგომარეობს. გამოკითხულ მამაკაცთა უმრავლესობა ელოდა, რომ საზღვარგარეთ მშენებლობაზე მოუწევდათ დასაქმება. ეს,

მართლაც, ასე იყო, თუმცა სამუშაო პირობები იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე მათ წარმოედგინათ. ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმრავლესობას არ ქონდა უფლება თავისი ხელფასი მთლიანად მიეღო.[17]

4.2 ინფორმაციის ცირკულაცია არაფორმალურ ქსელში

არაფორმალურ სოციალურ ქსელებში გარდა დასაქმების საკითხების შესახებ ინფორმაციის ცირკულაციისა, ინფორმაციის გაცვლა ლეგალური საბუთების, ლეგალიზაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებაც ხდება. არალეგალი მიგრანტების ინფორმირებულობის დონე საბუთების მოწესრიგებისა და ლეგალიზაციის პროცედურების შესახებ საკმაოდ დაბალია. არაფორმალურ სოციალურ ქსელებში ცირკულირებს ლეგალიზაციის პროცესთან დაკავშირებით არასამართლებრივი გზების შესახებ ინფორმაციაც. ინფორმაციის დეფიციტი და გამოუვალი მდგომარეობის შეგრძნება ლეგალიზაციის არალეგალური გზების მიმართვიანობას ზრდის.

არანაკლებ პრობლემურია იტალიის მთავრობის მიერ არალეგალ მიგრანტებთან დაკავშირებული ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაცია. არის შემთხვევები, როდესაც იტალიის მთვარობის განცხადებების დამახინჯება და არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება ხდება, რაც არალეგალ მიგრანტთა ჯგუფებში ფუჭ იმედებს ბადებს და შემდეგ სერიოზული ფრუსტრაციის მიზეზი ხდება. აღნიშნული პროესი მოყვა იტალიის მთავრობის განცხადებას ‘Decreto – flusi -2017’ შესახებ, რომელიც არალეგალ მიგრანტთა მიერ არასწორად იქნა გაგებული და მცდარი ინფორმაციის ტირაჟირება მოხდა სოციალური ქსელით. ეს დეკრეტი ეხებოდა მხოლოდ სეზონურად მომუშავე არალეგალ მიგრანტებს, რომელსაც იტალიის მთავრობა ყოველწლიურად აქვეყნებს. შემდეგ, თავად სოციალური ქსელის მეშვეობით მოხდა ამღნიშნული დეზინფორმაციის განმარტება.

„მინდა შევეხო თემას – ’Decreto – flusi -2017’, რომელიც 2 დღეა იტალიაში მყოფი უსაბუთო ემიგრანტების აფორიაქების მიზეზი გახდა. ეს გზა ყველამ გავიარეთ და ვიცით, რა დიდი ფსიქოლოგიური სტრესი იყო თითოეული ჩვენთაგანისთვის მსგავსი ჭორის გავრცელება. სამწუხაროდ, მინდა გითხრათ,რომ ეს ’Decreto – flusi -2017" თქვენ არ გეხებათ. ვიცი ეს სიტყვები თქვენთვის არასასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ ჯგუფის ადმინისტრაციამ გადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა შესაბამისი განცხადება, რათა თქვენთვის „ტყუილი“ ნერვიულობა და დაძაბულობა მოგვეხსნა.“

„მართალია, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მთავრობა უშვებს მცირე დეკრეტებს. ანალოგიურად, გამოვიდა შარშანაც, ვინც წაიკითხა გეხსომებათ, რომ საქართველო არ იყო მითითებული. ამ "ფლუსი"-ის საკითხი არ არის ახალი ამბავი, "ფლუსის დეკრეტზე" საუბარი მიმდინარეობს 2016 წლიდან, მაშინ როცა მატეო რენცი ხელმძღვანელობდა. 2017 წელი ჯერ ახლა დადგა, მთავრობაც შეიცვალა. დაველოდოთ ახალ მთავრობას როგორ დაიწყებს ქვეყნის მართვას და რას განახორციელებს ემიგრანტების მიმართ“.[18]

საბუთების მოწესრიგების პროცესი ლატენტური თემაა და მასზე საუბარი ღიად არ სურთ. კითხვები ისმება, მაგრამ პასუხები არ არის, ან პასუხია: „გთხოვთ არ განვავრცოთ ეს თემა“.

„ზოგი აკეთებს 6 თვიან ლტოლვილის საბუთებს ადვოკატების დახმარებით ვინმემ ხომ არ იცით რა არის ეს?“

„მაინტერესებს, მესმის ეგ ინფორმაცია რომ ადვოკატთან აკეთებენ რაღაც საბუთს დროებითს. მაგრამ ამ საბუთის ვადის გასვლის შემდეგ ხომ არ გაგაძევებენ, გადავადება მხოლოდ სამჯერ შეიძლებაო და ისიც შესაძლოა უარი გითხრან, ვარაუდის დონეზე არ მინდა გთხოვთ პასუხი, თუ ვინმემ პირადად იცით ადვოკატისგან ამ საკითხზე, ნერვულ ეიფორიაში ვარ უკვე, ახალი ჩამოსული ვარ... გთხოვთ...“

არალეგალური მიგრაციის საბუთების ლეგალიზაციის პროცესში, როგორც ჩანს რიგ

შემთხვევებში დამქირავებლებიც არიან ჩართული, რომელთაც „პატრონებს“ უწოდებენ არალეგალი მიგრანტები. პატრონ-კლიენტელისტური ურთიერთობები არალეგალი მიგრანტების და დამსაქმებლების ურთიერთობის გავრცელებული პატერნებია.

„ჩემი პატრონი ორი კვირის წინ იმყოფებოდა სწორედ იმის გასარკვევად, თუ შეიძლებოდა ჩემთვის შუამდგომლობით გაეკეთებინა საბუთი, არანაირი შანსი არ არის თუ მთავრობამ რამე არ შეცვალა და არ გამოუშვა საბუთი ჩვენდა სასიკეთო.“

5. არაფორმალური ქსელი, დიასპორები და სათვისტომოები

დიასპორული ორგანიზაციები მეტწილად საზოგადოებრივ საფუძვლებზე შექმნილი გაერთიანებებია, მათი მიზანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებში შეინარჩუნონ ქართული ენა და კულტურა. ზოგიერთი, საზღვარგარეთ უკვე კარგად დამკვიდრებული ორგანიზაცია, ქართველი სტუდენტებისთვის სტიპენდიების დაწესებით ან სხვა ფორმით ეხმარება ადგილობრივ თემებს, როგორც ემიგრაციის ქვეყნებში, ისე საქართველოში. კრიზისულ პერიოდებში (მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და 2015 წლის თბილისის წყალდიდობის დროს) ბევრი დიასპორული გაერთიანება დაზარალებულებს საკვებით ან/და ფინანსურად დაეხმარა.[19]

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოყენებული ტერმინი „დიასპორა“ აერთიანებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მიგრანტთა ყველა თემს, მათ შორის, ისტორიული დიასპორის წევრებს, დროებით მოკლევადიან ემიგრანტებს, გრძელვადიან ემიგრანტებს, ექსპატრიანტებსა და იმ ქართველებს, რომლებიც უკვე გახდნენ ემიგრაციის ქვეყნის მოქალაქეები.

დიასპორების ფორმირება და ეფექტურობა გარკვეულწილად გვიჩვენებს, თუ რომელ ქვეყნებში არიან ქართველი ემიგრანტები უფრო თვითორგანიზებულნი, რომელი დიასპორული საზოგადოებებია უფრო აქტიური, რომლები თანამშრომლობენ საქართველოში არსებული სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებთან და მთავრობასთან.

დიასპორის ფუნქციონირების ანალიზისას ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილება: სმენიათ თუ არა მიგრანტებს დიასპორული ორგანიზაციების შესახებ, რა ტიპის საქმიანობით არიან დიასპორები დაკავებული, როგორ ურთიერთქმედებენ მიგრანტებთან და არის თუ არა რაიმე ტიპის მხარდაჭერა მათი მხრიდან?

დიასპორებულ ორგანიზაციებთან აფილაციაში მყოფი მიგრანტები საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას იღებენ, შესაძლებლობა აქვს ურთიერთობა ქონდეთ მათთვის საინტერესო ადამიანებთან.

მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული აბსოლუტურად სანდო და ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ფაქტობრივად არცერთ სფეროში არ არსებობს. ქართული დიასპორის და დიასპორული ორგანიზაციების სტატისტიკური მაჩვენებლებიც ნაკლები ვალიდურობით ხასიათდება. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაცემების თანახმად, საქართველოს საზღვრებს გარეთ 300-ზე მეტი ქართული დიასპორული ორგანიზაცია არსებობს.[20] საგულისხმოა, რომ მონაცემები მეტწილად ასახავს რეალობას და მოიცავს მხოლოდ იმ აქტიურ დიასპორულ ორგანიზაციებს, რომლებსაც რეგულარული კავშირები აქვთ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო აპარატთან (იხ. დიაგრამა1).[21]

მონაცემების უზუსტობაზე ის ფაქტორიც ახდენს გავლენას, რომ ჩამონათვალში არ არის ბევრი ისეთი ქვეყანა სადაც საქართ-

---

17 არალეგალური მიგრაცია – ძირითადი ტენდენციები, საფრთხეები და პრევენცია, http://www.radiotavisupleba.ge/a/1522248.html

18 წყარო სადაც დეკრეტზეა საუბარი, http://www.portaleimmigrazione.eu/decreto-flussi-2017/

19 დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ICMPD, 2015, Georgian Diaspora and Migrant Communities in Germany, Greece, and Turkey.

20 მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი, 2015

21 იქვე.

დიაგრამა1:

ქართული დიასპორული ორგანიზაციების რაოდენობა საზღვარგარეთ



წყარო: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ველოდან მიგრაციული ნაკადი მაღალია და შესაბამისად დიასპორებიც წარმოდგენლია. მაგალითად, ყურადღებას გავამახვილებთ იტალიაზე, რადგან იტალია ჩვენი კვლევის ფოკუსია. იტალიაში არაერთი დიასპორული ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რასაც ჩვენს მიერ მოძიებული მონაცემებიც ცხადყოფს (იხ. ცხრილი 1.)

ცხრილი 1.

იტალიურ–ქართული დიასპორული ორგანიზაციები

იტალიურ-ქართული ასოციაცია მდებარეობა: ბარი, იტალია დამფუძნებლები: ანჯელო ჩირონე ხელმძღვანელი: ანჯელო ჩირონე კოორდინატები: info@assogeorgia.it http://www.assogeorgia.it	**ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაცია** მდებარეობა: ბარი, იტალია დამფუძნებლები: ვანა საჩელინი-ჯალაღონია ხელმძღვანელი: კოორდინატები:
კულტურული ასოციაცია "ქართველები კალაბრიაში" მდებარეობა: რეჯო-დი-კალაბრია, იტალია დამფუძნებლები: ნინო მაზიაშვილი ხელმძღვანელი: ნინო მაზიაშვილი კოორდინატები: ninamazini@yahoo.it	**ასოციაცია "სამშობლო გულით სატარებელი"** მდებარეობა: მილანი, იტალია დამფუძნებლები: ნუნუ გელაძე ხელმძღვანელი: ნუნუ გელაძე კოორდინატები: nunug@libero.it
ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაცია "ჟალეთი" მდებარეობა: ფლორენცია, იტალია დამფუძნებლები: ნია ზაზაშვილი ხელმძღვანელი: ნია ზაზაშვილი კოორდინატები: natia-zazashvili@mail.ru skype: natizaz http://goo.gl/la1ly	**იტალიურ-ქართული ასოციაცია "წმინდა გიორგის ფარი"** მდებარეობა: რომი, იტალია დამფუძნებლები: ქეთევან ბაგრატიონი-მუხრანბატონი ხელმძღვანელი: ქეთევან ბაგრატიონი-მუხრანბატონი კოორდინატები: k.bagrationi@gmail.com

წყარო: დიასპორის ვებ-პორტალი[22]

[22] დიასპორის ვებ-პორტალი , tanamemamule..ge

დიასპორული ორგანიზაციების რაოდენობა (რომელიც სავარაუდოდ არასრულია) შესაძლებელია მიუთითებდეს ამ ქვეყნებში მცხოვრები ქართული თემების ფრაგმენტაციაზეც. მაგალითად ქ. ბარიში, რომელიც სიდიდით არა, მაგრამ ქართველ ემიგრანტთა რიცხოვნობით გამორჩეულია, დაარსებულია დაახლოებით მსგავსი პროფილის ორი ორგანიზაცია. რესპონდენტები მეტ-ნაკლებად ინფორმირებული არიან დიასპორული ორგანიზაციების არსებობის შესახებ იტალიაში. მათი ინფორმაციით დიასპორები არსებობს მილანში და მილანის გარდა, სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, რეჯო ემილიაში, ფლორენციაში, სადაც ბევრი ქართველია – არსებობს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, მაგალითად ქართული ფოლკლორული დასები. არაერთ ქართველ მიგრანტს, მაგალითად რეჯო ემილიაში დაყავს ემიგრანტი ბავშვები ქართული ცეკვების შემსწავლელ წრეებზე. თუმცა იყვნენ უკმაყოფილო მშობლებიც და დაატოვებინეს წრეები ბავშვებს მაღალი გადასახადის გამო. გარდა ამისა გაჩნდა ურთიერთდაპირისპირება ქართველებს შორის. ურთიერთდაპირისპირების მიზეზი რესპონდენტის განცხადებით შემდეგია:

„ჭორაობა, მითქმა-მოთქმა და ა.შ. ჩემი აზრით, აქაც პატარა საქართველოს მოდელია, როგორც საქართველოს შიგნით არსებობს პრობლემები ქართველებს შორის იგივეა აქაც, თუმცა ყველაფერი უფრო გამძაფრებულად ხდება, ალბათ საზღვრებს გარეთ, სხვაგვარ კონდიციებში მაინც იცვლებიან ემიგრანტები. ჩემი აზრით, მეგობრობაც და მტრობაც, უნდობლობაც უფრო გამძაფრებულია.“

ქართველ მიგრანტთა ნაწილი სათვისტომოების საქმიანობით უკმაყოფილოა, ნაწილი კი იმ პრობლემებზე საუბრობს, რის გამოც სათვისტომოები მათ დახმარებას ხშირად ვერ ახერხებენ. რესპონდენტების ინფორმაციით, სათვისტომოთა ნაწილი ემიგრანტების დახმარების მაგივრად სხვადასხვა გზებით მათგან ფულის „გამოძალვას“ ცდილობს.

„სათვისტომოს სახელს ამოფარებულები სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ბევრ ცუდ საქმეს აკეთებენ. მათ შორის ყალბი საბუთების დამზადებას. გარდაცვლილი ქართველების გადმოსასვენებლად კი ფულს ქუჩა-ქუჩა ვაგროვებთ. ამაშიც კი არავინ გვეხმარება. შარშან ქართული საღამო გავმართე, ცეკვის კონცერტისთვის რეპეტიციები ზღვის სანაპიროზე გავიარეთ, რადგან ერთ-ერთმა სათვისტომომ დარბაზი არ დაგვითმო. ჩვენთვის საუკეთესო ნავსაყუდელი სამრევლოებია.”

არსებობენ სათვისტომოები და დიასპორები რომლებსაც არაერთი დახმარება აღმოუჩენიათ:

„ქალაქ კალამატაში არსებული სათვისტომო ძალიან კარგად მუშაობს. ბევრ გაჭირვებულ ემიგრანტს დაეხმარნენ. მეც გამიწიეს დახმარება, მათ შორის თანხითაც. ასევე მხარი დამიჭირეს, სხვა ქართველ ხელოვანებთან ერთად ქალაქ კორინთოში გამოფენებში მიმეღო მონაწილეობა. სამწუხაროდ, სხვა ორგანიზაციების მუშაობაზე ვერაფერს ვიტყვი.“

სათვისტომოების და დიასპორული ორგანიზაციების ყოველდღიური საქმიანობა ერთ-ერთი ხელმძღვანელის აღწერით შემდეგია:

„მიგრანთა სატელეფონო ზარების პასუხი, მთელ იტალიაში გაფანტულ თანამემამულეებთან მიმოწერა. ვის საბუთის შევსება სჭირდება, ვის დაკვალიანება, ავადმყოფის ფურცლის, დაბადების მოწმობის ან წამლის რეცეპტის თარგმნა; ვის სასწავლებელში უნდა გაჰყვე ან სასამართლოში, ვის მორალური და სულიერი დახმარება უნდა გაუწიო, საათობით მოუსმინო, თანაგრძნობა და თანადგომა არ მოაკლო, ანუგეშო და დახმარებაც გაუწიო.“

დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მწირ შემოწირულობებზე ამახვილებენ ყურადღებას და დიასპორული ორგანიზაციების მუშაობის ხელისშემშელელ ფაქტორად მუდმივი დაფინანსების წყაროს არ არსებობას ასახელებენ.[23]

„ემიგრანტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მეტი ფინანსები.

[23] „emigration.ge”

ე.წ ახალ ემიგრანტებს ხშირად სჭირდებათ მხარდაჭერა და დაკვალიანება. ეს სათვისტომოებმა უნდა გააკეთონ. ვისურვებდი, რომ სახელმწიფომ იზრუნოს მსგავსი ორგანიზაციების დაფინანსებასა და შექმნაზე". დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, დიასპორების და სათვისტომოები ძირითადად თვითდაფინანსებაზე არიან."[24]

ფინანსური სახსრების მოძიების ტიპური სქემა შემდეგნაირია:

„რასაც ვაკეთებთ, მხოლოდ ჩვენი საკუთარი ხარჯით და თვისტომელთა მწირი შემოწირულობებით. უპირველესი პრობლემა სწორედ უსახსრობაა, რის გამოც ვერ ვახერხებთ მუდმივი სამყოფელის დაქირავებას, რათა ემიგრანტი ბავშვებისათვის საკვირაო სკოლა დავაარსოთ და იტალიური ენის უფასო კურსები გავხსნათ. თუმცა ვცდილობთ, ჩვენს საქმიანობაში ემიგრანტები მაქსიმალურად ჩავრთოთ" (რესპონდენტი, ერთ-ერთი სათვისტომოს ხელმძღვანელი).

კვლევების მონაცემებით, ადვილი დასადგენი არ არის ქართული დიასპორული ჯგუფების მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა. დროებითი მიგრანტები, რომლებიც დანაზოგების გაკეთებას ახერხებენ, ინვესტიციებს მცირე საცალო ბიზნესში, ან მომსახურების ისეთ სფეროებში აკეთებენ, როგორიცაა სილამაზის სალონები.[25] ასეთი მიკრო და მცირე ბიზნესი ემიგრანტთა ან დაბრუნებულთა ოჯახებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს, თუმცა, ემიგრანტების უმრავლესობას არ გააჩნია დიდი ფინანსური კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობა და მათი ბიზნესი იშვიათად თუ გარდაიქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე მასშტაბურ საწარმოდ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მიერ მომზადებული კვლევის თანახმად, დიასპორების ინვესტიცია არა მხოლოდ წარმატებული ბიზნესის მაგალითს წარმოადგენს, არამედ ადგილობრივი საკვები პროდუქტების ბაზარზე თამაშის წესებიც შეცვალის ნიმუშიც არის.[26] არსებობს დიასპორის მიერ სოფლის მეურნეობასა და კვების სექტორში ინვესტირების მთელი რიგი საკმაოდ ცნობილი შემთხვევები. ქართულ-თურქულმა კომპანიამ „ჯეოლაივი",[27] რომელიც 2009 წელს დაარსდა, საქართველოს ოთხ რეგიონში გააშენა ზეთისხილის პლანტაციები და გეგმავს გახდეს ზეთისხილის ძირითადი მიმწოდებელი როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ანალოგიურად, მეფრინველეობის კომპანია „ბიუ-ბიუ"[28] და მისი შვილობილი კომპანია „პომონო" ქართულ-რუსული დიასპორის წარმომადგენელმა 2011-2013 წლებში დაარსა.

დიდი ალბათობით, დიასპორის წარმატებული ინვესტიციების უფრო მეტი შემთხვევა არსებობს, თუმცა მათი მონიტორინგის და აღრიცხვის მექანიზმი შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ჯერ არ შეუმუშავებიათ.

დიასპორული ორგანიზაციები კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან, თუმცა დიასპორული ქსელი ნაკლებ განვითარებულია. ამ ეტაპზე დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ხორციელდება პროექტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით (პროექტი ჯერ ტესტურ რეჟიმშია). ახალი ინტერნეტ სივრცის – Tanamemamule.ge – შექმნის მიზანია მაქსიმალურად გააქროს მანძილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს შორის. ქსელი ასევე იქნება ეფექტური მაკავშირებელი სახელმწიფოსა და მის ემიგრანტებს შორის.[29]

---

24 თორნიკე ხურციძე, http://emigration.ge
25 ICMPD, 2015, Georgian Diaspora and Migrant Communities in Germany, Greece, and Turkey.
26 USAID, 2014, Georgian Agricultural Competitiveness Case Studies, prepared by ISET of Tbilisi State University.
27 „ჯეოლაივი", http://geolive.ge/
28 შპს „ჩირინა", http://bio-bio.ge/?page=home
29 https://tanamemamule.ge/DiasporaOrganizationMetronic/155

6. არაფორმალური ქსელი და ქართული რელიგიური ინსტიტუტები საზღვარგარეთ

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შეფასებით საქართველოდან წასული ათასობით მოქალაქე გაუცხოებული აღმოჩნდა ეკლესიისა და ეროვნული კულტურისგან. ამ პროცესებზე რეაგირების შედეგად 2002 წლის 17 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის კრება, რომლის გადაწყვეტილებითაც მოხდა ეპარქიათა საზღვრების გადახედვა.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II გამოვიდა ინიციატივით დასავლეთ ევროპის ეპარქიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. პატრიარქმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „საქართველოდან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში საცხოვრებლად გადავიდა საქართველოს ეკლესიის მრავალი წევრი. ისინი სისტემატურად მოგვმართავენ თხოვნით, რომ შეიქმნას ევროპის ქვეყნებში საქართველოს ეკლესიის ეპარქია და ამოქმედდეს ტაძრები ქართველებით დასახლებულ ადგილებში.“[30] საზღვარგარეთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების (ექსარქიების) შექმნა გადაწყდა.

თავდაპირველად დაარსდა დასავლეთ ევროპის ეპარქია, რომელიც შემდეგში რამდენიმე ეპარქიად დაიყო. 2009 წლის 3 მაისს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით: ამერიკისა და კანადის სამრევლოები დაარსდა. მოგვიანებით მის საფუძველზე ორი ეპარქია ჩამოყალიბდა. დღეისათვის საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქმედი 7 ეპარქიაა, მათ იურისდიქციაში იმყოფება სამრევლოები და თითოეულს ყავს წინამძღოლი. ახლად შექმნილი ეპარქიის მღვდელმთავრის ტიტულია საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსი.

ეპარქიის ცენტრია ქ. ბრიუსელი (ბელგია), მღვდელმთავრის დროებითი რეზიდენცია მდებარეობს ქ. რეგენდბურგში (გერმანია). საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით დადგენილია მანამდე ჭიათურის მიტროპოლიტი აბრაამ გარმელია.[31]

აღნიშნული გადაწყვეტილებით გაერთიანდა საზღვარგარეთ დროებით ან მუდმივად საცხოვრებლად ემიგრირებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი და იმ ქვეყნებში მცხოვრები ის უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც თავს მიაკუთვნებენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

ჩვენი კვლევის ფოკუსში იტალიაა. იტალიის სხვადასხვა ქალაქებში მრავლად არის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიები, რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ საქმიანობენ. მათი საერთო რაოდენობა 22 აღწევს (იხ.დანართი 2).

საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქია მოიცავს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს – ავსტრიას, ბელგიას, დანიას, საფრანგეთს, გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, ჰოლანდიას, იტალიას, ლუქსემბურგს, პორტუგალიას, ესპანეთს, შვეიცარიას (იხ. ცხრილი 2).[32]

გარდა იმისა რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიები წარმოდგენილია იტალიაში, საქართველოსა და ვატიკანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1990-იანი წლებიდან აქტიურ ფაზაში გადადის. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების გააქტიურებისა და გაღრმავების მიზნით, მნიშვნელოვანი იყო 1999 წელს, რომის პაპის იოანე პავლე II-ის და 2016 წლის 30 სექტემბერი – 2 ოქტომბრის პერიოდში, პაპი ფრანცისკეს მიერ განხორციელებული ოფიციალური ვიზიტები საქართველოში. ისტორიული მნიშვნელობის ეს ორი ვიზიტი იყო ნათელი დადასტურება ვატიკანის მხარდაჭერისა

---

30 http://www.weudiocese.ge/ge/brief-history

31 საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიას ახალი ინტერნეტ საიტი: http://orthodox-eu.com/

32 სოფიკო ნინიკაშვილი, უცხოეთში მდებარე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიები, „თბილისი თაიმსი“, 2017/03/16, http://www.ttimes.ge/archives/77372

ცხრილი 2.

საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქმედი ეპარქიები, მათ იურისდიქციაში მყოფ სამრევლოები და წინამძღოლები

ეპარქია	ეპარქიის იურისდიქცია ვრცელდება შემდეგ ქვეყნებზე:	წინამძღოლი
დასავლეთ ევროპის	საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი, შვეიცარია და დანია.	მიტროპოლიტი აბრაამ გარმელია
დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის	აერთიანებს ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში მდებარე რამდენიმე სამრვეოს.	მიტროპოლიტი ზენონი იარაჯული
ბელგიისა და ჰოლანდიის	შედგება ბელგიისა და ჰოლანდიის სამრველოებისგან.	ეპისკოპოსი დოსითეოსი ბოგვერე
გერმანიისა და ავსტრიის	მოიცავს მიუნხენის, შტუტგარტის, ფრანკფურტის, ნიურნბერგის, ინსბრუკის, დუსელდორფის, ბონის, კარლსრუეს, ბილეფელდის, ოსნაბრუკის, ბერლინის, ჰანოვერის, ჰამბურგისა და ზაარბრიუკენის სამრევლოებს	ეპისკოპოსი ლაზარე სამადბეგიშვლი
ჩრდილოეთ ამერიკის	ეპარქიის შემადგენლობაში შედის ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარე რამდენიმე და კანადაში მდებარე ერთი სამრევლო.	ეპისკოპოსი საბა ინწკირველი
სამხრეთ ამერიკის		მაღალყოვლად უსამღვდელოესი ნიკოლოზი ფაჩუაშვილი
ავსტრალიის		მიტროპოლიტი შიო მუჯირი

წყარო: საქართველოს საპატრიარქო[33]

საქართველოს მიმართ. წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობა განათლების და მეცნიერების, საქველმოქმედო სფეროში. წმინდა საყდრის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა ქართული სიძველეების დაცვასა და აღდგენას.[34]

ჩრდილო იტალიის ქართველები ძირითადად მილანში იკრიბებიან,[35] ცენტრალური იტალიის ქართველობა კი ან პერუჯის,[36] ან ფლორენციის ან თავად მარადიული ქალაქის რუსულ ეკლესიებშია, რომში ხანდახან პარაკლისებიც კი ტარდება ქართველი მოძღვრის მიერ, ბარიშიც არის ქართველი მოძღვარი, სადაც უამრავი ქართველი იკრიბება.[37]

ჩვენი კვლევისათვის საინტერესო საკითხებია – როგორია ეკლესიის როლი ქართველი მიგრანტების ცხოვრებაში – რა სახის ურთიერთობა არსებობს სასულიერო პირებსა და მიგრანტებს შორის? ეკლესიის მსახურების მხრიდან რა კონკრეტული დახმარება აქვთ

[33] http://patriarchate.ge/geo/eparqiebi/; http://www.orthodoxy.ge/kontaqti.htm, საიტზე ქვეყნდება მხოლოდ ის სტატიები, რომლებიც გამოცემულია საპატრიარქოს რეცენზიით ან სასულიერო პირის ლოცვა კურთხევით.
[34] საქართველოს საელჩო წმინდა საყდართან, წმიდა საყდრის ოფიციალური ვებ-გვერდი, http://www.mfa.gov.ge
[35] http://www.tanamemamule.eu/
[36] http://www.mrevli.org/
[37] http://www.mrewli.de/

მიგრანტებს – როგორი კონკრეტული შემთხვევები არსებობს?

მიგრანტი ქართველებისათვის საზღვარგარეთ ეკლესიების არსებობის მნიშვნელობა საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიის ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის სამრევლო ტაძრის წინამძღვარის, არქიმანდრიტი ანდრია ლაცაბიძის აზრით:

„ჩვენი ტაძარი, ტოსკანას რეგიონში მცხოვრები ქართველებისათვის, ერთადერთი ადგილია სადაც ერთმანეთს ხვდებიან და უზიარებენ სიყვარულსაც, ტკივილსაც და მწუხარებასაც. ეს სამრევლო ტაძრები აქაური ქართველებისთვის არის ერთგვარი ოჯახიც და სულიერების კერაც. ვიკრიბებით ღვთის სადიდებლად და ერთმანეთის სიყვარულისთვის. ტაძარი არ გვაძლევს რწმენისა და სამშობლოს სიყვარულის დაკარგვის საშუალებას. არ გვაძლევს საშუალებას, რომ მოვდუნდეთ.“

სასულიერო პირის განცხადებით, მცდარი წარმოდგენაა, როდესაც ამბობენ, რომ უცხოეთში წამოსულ ადამიანზე ევროპული თავისუფლება და ცხოვრების წესი მავნე ზეგავლენას ახდენს და ცოდვების პროვოცირებას იწვევს. აქ არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ოჯახების სიყვარულით, ქართველობის სიყვარულით, რწმენითა და პატიოსნებით. მათი უმრავლესობა ძალიან განათლებული ადამიანია და ეს ადამიანები ძალიან სჭირდება საქართველოს. ესენი უმრავლესად არიან დედები, რომლებიც ოჯახებისა და შვილების კეთილდღეობის გამო იმყოფებიან აქ. ისინი პატიოსნად შრომობენ. მათ ევროპული სტილით ცხოვრებისათვის ხშირად არც დრო აქვთ და არც საშუალება.

საზღვარგარეთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მრევლი მუდმივად მზარდია.

„ჩემთვის, როგორც მოძღვრისათვის სასიხარულოა მრავალრიცხოვანი მრევლი. ეს ერთის მხრივ ღმერთთან დაახლოების სურვილის მომძლავრებაა მაგრამ, თუ დავფიქრდებით, მრევლის გაზრდა საქართველოდან წამოსული ადამიანების ხარჯზეც ხდება. მრევლი კი მართლაც მუდმივად იზრდება, უმჯობესია, საქართველოს ტაძრებში იმრავლოს მრევლმა, ვიდრე საზღვარგარეთ. ჩვენ, საზღვარგარეთ მოღვაწე მამები, ღმერთის შეწევნით ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში დავეხმაროთ სამშობლოდან მოშორებულ ქართველებს.“[38]

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საზღვარგარეთ მართლმადიდებლური ეკლესიების მრევლში ჭარბობენ არალეგალი მიგრანტები, რომელთათვისაც ეკლესია თანადგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ამავე დროს, ხაზგასასმელია ფაქტი, რომ მრევლის წევრებიც ურთიერთ დახმარებით გამოირჩევიან.

„ქართველი ემიგრანტები მჭიდროდ არიან ეკლესიასთან დაკავშირებული. ძირითადად უსაბუთო ემიგრანტების ბოლო იმედია და არა მხოლოდ, რადგან ეკლესიის მსახურები და მრევლი რეალურად ეხმარებიან ქართველ ემიგრანტებს, მათ ძალიან ბევრი კონტაქტი აქვთ. ამ შემთხვევაში დახმარება უანგაროა რაც ძალიან იზიდავს გაჭირვებულ და სახსრების გარეშე დარჩენილ ადამიანებს. ამის ძალიან ბევრი მაგალითი ვიცი (კონკრეტულად ქალაქებში პერუჯაში და ფლორენციაში).“

რესპონდენტები ეკლესიის თანადგომის არაერთ კონკრეტულ მაგალითს იხსენებენ. სურათის ნათლად წარმოდგენის მიზნით ეს მაგალითები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა:

„მამაოები ძირითადად მოხუცების მომვლელებად დასაქმებაში ეხმარებიან და არა მხოლოდ ქალბატონებს. ჩემთვის გასაკვირი იყო როდესაც გავიგე რომ ორ სასოწარკვეთილ ქართველ არალეგალ მამაკაცს მამაო დაეხმარა მოხუცის მომვლელის ადგილის შოვნაში. ერთ-ერთი ბიჭისგან გავიგე, რომ პოლიციას 2-ჯერ ქურდობაზე ყავდა აყვანილი, ამის შემდეგ ეკლესიას მიაკითხა, მამამ „ფსიქოლოგიურად დაამუშავა“, მრევლის მეშვეობით მოხუცის მომვლელის ადგილი უშოვა და უკვე 2 წელია იგივე ოჯახში მუშაობს თურმე.“

[38] ნინო მამუკაძე, http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/akhali-ambebi/2045-qarthvelobis-siyvarulith-rtsmenitha-da-patiosnebith.html

ეს შემთხვევა იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემების მქონე არალეგალი მიგრანტის საყრდენი ეკლესია აღმოჩნდა. მამაოს ავტორიტეტი და კავშირები მრევლის წევრებთან ააქტიურებს არაფორმალური ქსელის ეფექტურობას.

„მამაოები ქართველი ცოლ-ქმარი, ახალი ჩამოსულები და უმუშევრები იყვნენ, ცოლი ორსულად დარჩა. ამასთან ერთად არალეგალები. ეკლესიას მიმართეს და ეკლესიის მრევლმა, დახმარება, რჩევა, ერთ იტალიელს, ჩემს მეგობარს სთხოვეს, ეს ადამიანი, ცდილობს ქართველებს გვერდში დაუდგეს, ვიცი, რომ მომხდარით შეშფოთებული იყო. თუმცა საბოლოოდ დაეხმარნენ.“

ეკლესია არამხოლოდ მატერიალური კუთხის გაუმჯობესების თვალსაზრისით უწევს მხარდაჭერას მიგრანტებს, ძირითადად არალეგალს, არამედ ადაპტაციაში ეხმარება.

„ძირითადად, ჩემი აზრით, ეკლესიის გარშემო შემოკრებილ ემიგრანტებს, უჭირთ ახალი კულტურის მიღება და ინტეგრირება, ამიტომ ცდილობენ ქართველებთან იმეგობრონ. არიან ასევე ორმაგი სტანდარტების ქართველებიც, უნდათ კარგი ტიპობა და ეკლესიაში გამოჩენა კარგ ტონად ითვლება, რომ ქართველობას არ კარგავ და ა.შ.“

„სახლთან ახლოს პანტელეიმონის სახელობის ეკლესიაა. ყოველ კვირას ქართველები იქ ვიკრიბებით ხოლმე. მართალია, ამჟამად შედარებით უკეთესი მატერიალური მდგომარეობა მაქვს, მაგრამ სამშობლოს მოწყვეტილი თავს დაკარგული უმწეო ბავშვივით ვგრძნობ. ბევრი ადგილი მახსენებს საქართველოს. ვერ წარმოიდგენთ, ასეთ დროს როგორი სინანული, ნატვრა და ტკივილი გეუფლება... სურნელითაც კი მომგონებია ჩემი ქვეყანა.“

მოყვანილი ფაქტები აჩვენებს, რომ საზღვარგარეთ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ძლიერი ზეგავლენა აქვს და საკმაოდ სერიოზულ როლს თამაშობს ქართველ მიგრანტთა ცხოვრებაში. თუმცა, აღნიშნულ პროცესს აქვს მეორე მხარეც, საქართველოს პატრიარქი სკეპტიკურად არის განწყობილი მიგრაციის ზრდის მიმართ და მოუწოდებს მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისკენ, რაზეც მიგრანტები მძაფრად რეაგირებენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ 2015 წლის ერთ-ერთ ბოლო საკვირაო ქადაგებაზე საქართველოდან ქალების საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლას მანკიერი წესი უწოდა და ქართველ დედებს სახლებში დაბრუნებისკენ მოუწოდა. პატრიარქის აზრით, საქართველოში ადამიანი უმუშევარი არ უნდა იყოს და, თუ ერთი საქმე არ გაუმართლებთ, სცადონ მეორე, მესამე, მეათეც კი... ერთი სიტყვით ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ ოჯახები არ დატოვონ.

განაწყენებულმა ქალბატონებმა საქართველოს საპატრიარქოსთან საპროტესტო აქცია გამართეს, სადაც პატრიარქის საკვირაო ქადაგებას შემდეგი ტრანსფარანტებით უპასუხეს: *„ქალი შრომობდა და მამაო ჯიპიდან ჭკუას არიგებდაო"; „29 მილიონზე მეტი საპატრიარქოს ბიუჯეტიდან არის მანკიერება"; „მიგრანტი ქალები – გმირი ქალები"; „დედაჩემი მიგრანტია, პატრიარქი – ქალთმოძულე"; „ჯიპზე ამხედრებული სამღვდელოება, ეს არის მანკიერება".*

ექსპერტების აზრით, ემიგრანტი ქალების მიმართ გაკეთებული მსგავსი განცხადებები რეალურ მდგომარეობას ვერ შეცვლის, რადგან საზოგადოების მთავარი ღირებულება ოჯახისა და შვილების რჩენაა. გარდა ამისა, საქართველო არ არის გამონაკლისი, დღეს ზოგადად, მსოფლიოშია ტენდენცია, რომ ადამიანები სამუშაოდ უფრო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიდიან, იმიტომ, რომ იქ უფრო მაღალი შემოსავალია და უკეთესად შეუძლიათ სამშობლოში არჩინონ ოჯახები.[39]

პატრიარქი ახალი ინიციატივით გამოვიდა, უცხოეთში მყოფი ქართველების გაერთიანების იდეით ყოველწლიურად ჩატარდეს ,,ყო-

[39] შორენა პაპაშვილი, მიგრანტი ქალების ცხოვრება – მანკიერება, თუ თავგანწირვა, Oct 28, 2015, http://dlmn.info/ge/migranti-kalebis-cxovreba-mankiereba-tu-tavgancirva/

ველთა ქართველთა კონგრესი.“ აღნიშნულ თემაზე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მორიგ ქადაგებაში ისაუბრა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, უცხოეთში მყოფი ქართველების აღწერის შესახებ ისაუბრა და ყოველთა ქართველთა კონგრესის ჩატარების სურვილი გამოთქვა. ინიციატივა საქართველოს მთავრობის მეთაურმა მოიწონა. პატრიარქის განცხადებით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კონგრესი ოქტომბერში, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე უნდა ჩატარდეს.

> *,,რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა, ჩვენმა ქართველებმა არ დაკარგონ ენა, სარწმუნოება, სამშობლოს სიყვარული... ქართველობა არ დაკარგონ? თუ ქართული სული დაიკარგა იმათში, ეს ადამიანები დაკარგულია. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები დავუკავშიროთ სამშობლოს? ჩვენ გვაქვს სურვილი, სვეტიცხოვლობას, 14 ოქტომბერს, მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა კონგრესი საქართველოში და კიდევ ერთხელ გავახსენოთ ჩვენს სისხლსა და ხორცს, რომ მათი წინაპრები აქ არიან და არ უნდა დაკარგონ კავშირი სამშობლოსთან. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ არ დაივიწყონ ქართული ენა? ქართველი ადამიანი გვგონია ისეთი ძლიერი გენისა, რომ ის არ დაიკარგება, მაგრამ სჭირდება სამშობლოს დახმარება, ჩვენი შეხსენება" (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე).*[40]

მიგრანტები გამოთქვამენ ინტერესს აღნიშნული ინიციატივის მიმართ და იმედოვნებენ, რომ ეს მხოლოდ ინიციატივად ან პოლიტიკურად ანგაჟირებულ განცხადებად არ დარჩება და საპატრიარქო ემიგრანტებს რეალურ დახმარებას გაუწევს:

> *,,აქ რომ ემიგრანტი ჩამოდის, პირველ რიგში კათოლიკურ ეკლესიაში მიდის. ეკლესია ეხმარება ტანისამოსით, საკვები პროდუქტით, სამსახურით. ღიპიანი და ჯიპიანი მღვდელი მე აქ არ მინახავს. აქ ყველაფერი სხვაგვარადაა. საქართველოში სიამოვნებით დავბრუნდებოდი, მაგრამ აქ პოლიცია, საავადმყოფო, მაღაზია, ტრანსპორტი... ყველაფერი მოქალაქეების ინტერესებზეა მორგებული, მანდ კი ელემენტარულად, სამსახური ვერ ვიპოვე. იმედია, სამომავლოდ მაინც შეიცვლება ვითარება ჩვენს ქვეყანაში და იმის იმედიც მაქვს, პატრიარქის ეს ინიციატივა, მხოლოდ ინიციატივად არ დარჩება და რეალურ ნაბიჯებს გადადგამენ ემიგრანტების აღრიცხვისა თუ მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით'".*[41]

მიგრანტა ნაწილი გამოთქვამს ეჭვს, რომ აღნიშნული ინიციატივა განუხორციელებელია. საპატრიარქოს ემიგრანტების მობილიზება გაუჭირდება; საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილი არალეგალია; ასეც რომ არ იყოს, ემიგრანტების აქ ჩამოსვლა გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. ისეთს, როგორიცაა მაგალითად, შვებულების აღება, გზის ფულის მოძიება და ა.შ.

ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ საპატრიარქოს ეს ინიციატივა ტოვებს შთაბეჭდილებას, „რომ მრევლის რაოდენობის გაზრდა უნდათ, რადგან მათთვის ფინანსური პრობლემების მოგვარების კარგი გზაა, მეტი შესაწირავი შეუვა ეკლესიას.“

7. შეჯამება

შეჯამების სახით, შეიძლება კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, გავაკეთოთ დასკვნები კითხვებზე: რა განაპირობებს და რა ფაქტორები უწყობს ხელს ქართველი არალეგალი მიგრანტების „გამძლეობას“ საქართველოს საზღვრებს გარეთ (იტალიაში).

კვლევის მონაცემები აჩვენებს:

- *ქართველი მიგრანტები ინტეგრირებული არიან არაფორმალურ ქსელებში, რაც მათი ადაპტაციის ერთ-ერთი ძლიერი რესურსია.*

---

40 ნინი ჯაფარიძე, http://www.versia.ge/index.php/2013-07-31-11-23-15/item/2617

41 იქვე

- *ქართული რელიგიური ინსტიტუტების სიძლიერე საზღვარგარეთ და მიგრანტების მათში ინტეგრირებულობა.*

- *საქართველოში დაბრუნების ნეგატიური მოლოდინები, რაც სავარაუდოდ უპერსპექტივობის განცდას უკავშირდება.*

ბიბლიოგრაფია

Beck, U. 1992. Risk Society, Towards a New Modernity. London: Sage Publications. p. 260.

Bennet, R. 2011. BUILDING THE POLICE SERVICE IN A SECURITY VACUUM: INTERNATIONAL EFFORTS IN KOSOVO, 1999-2011. Innovations for Successful Societies. Princeton University, accessed at http://www.princeton.edu/successfulsocieties ნანახია: 2012 წლის 20 დეკემბერს.

Burt, R. S. 1990. Kinds of Relations in American Discussion Networks, in: Calhoun, C. et al. (eds.) *Structures of Power and Constraint: Papers in Honor of Peter M. Blau.* N.Y.: Cambridge University Press.

Campbell, K.E., Marsden, P., and Hurlbert, J. S. 1986. Social Resources and Socioeconomic Status, *Social Networks*. Vol. 8. P. 97–117.

Clapham, C. 1985. Third World Politics. An Introduction (London, Croom Helm).

Coleman J. S. 1986. Social Theory, Social Research, and a Theory of Action, article in American Journal of Sociology 91: 1309-1335.

Eckstein, H. 1975. 'Case Study and Theory in Political Science', in Greenstein, F. I. & Polsby, N. W. (eds) (1975) Handbook of Political Science, Vol. 7: Strategies of Inquiry (Reading, MA, Addison-Wesley), pp. 79–137.

Eisenstadt, S. N. 1973. Traditional Patrimonialism and Modern Neopatrimonialism (Beverly Hills, CA, Sage Publications).

Evans, P. 1995. Embedded Autonomy: States and Industrial Transformation. Princeton University Press.

Evans, P. 1989. 'Predatory, developmental, and other apparatuses: a comparative political economy.' Sociological Forum 4(4): 561–587.

Geddes, B. 1999. 'What Do We Know About Democratization After Twenty Years?'. Annual Review of Political Science, 2, pp. 115–44.

Granovettcr, M. S. 1973. The Strength of Weak Ties, *American Journal of Sociology*. No.78. pp. 1360-1380.

Granovettcr, M. S. 1974. *Getting a Job*. Cambridge: Harvard University Press.

Granovettcr, M. S. 1986. The Sociological and Economic Approaches to Labor Market Analysis: A Social Structural View, in: Farkas, G. and P. England (eds.) *Industries, Firms and Jobs*. N.Y.: Plenum. P. 187–216.

Granovetter, M. S. 1992. Job Search and Network Composition: The Strength of Weak Ties, *American Sociological Review*. No.57, pp. 586–596.

Hanson St. E. 2010. *Post-Imperial Democracies: Ideology and Party Formation in Third Re- public France, Weimar Germany, and Post-Soviet Russia*. – Cambridge; N. Y.: Cambridge Univ. Press.

Mizruchi, S. 2001. Religion and Cultural Studies. Princeton; Oxford: Princeton University Press.

დანართები

დანართი 1. ნოსტალგია პოსტერებში



დანართი 2. იტალიაში არსებული ქართული მართმადიდებლური ეკლესიები

სამრევლო	წინამძღოლი	კოორდინატები
რომის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი იოანე (ხელაია)	0039 3278 685 717; 00372 572 555 41; 00995 91 150 002 ელ.ფოსტა: khelaiageo@hotmail.com Skype – ioane_1107 სამრევლოს მისამართი: 39 via della madonna dei monti, 00184, Roma
ბარის წმიდა ნიკოლოზის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2007 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი მოსე (ჭანკვეტაძე)	0039 388 850 9184; 372 572 550 95. Skype – ss55555ss სამრევლოს მისამართი: Chiesa di santa Chiara, Via rugero il normano, 70122, Bari, ITALY
ფაბრიკა დი რომას წმიდა მირიან და ნანას სახელობის სამრევლ	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი იოანე (ხელაია)	0039 3278 685 717; 00372 572 555 41; 00995 91 150 002 ელ.ფოსტა: khelaiageo@hotmail.com; Skype – ioane_1107
ფლორენციის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442; 899 331 231 Skype – andria1204 სამრევლოს მისამართი: Via Deseralli 102, Firence, ITALY
მილანის წმიდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2011 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი კირიონი (მაჩაიძე)	სამრევლოს მისამართი: 11, Via Marco Brigozzo, 20122 Milano, ITALY
პიზას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2011 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442; 899 331 231 Skype – andria1204
ემპოლის წმიდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2011 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442; 899 331 231 Skype – andria1204 http://patriarchate.ge/geo/eparqiebi/ucxoetshi/dasavlet-evropis-eqsarqia/
პრატოს წმიდა ქეთევან წამებულის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2011 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442; 899 331 231 Skype – andria1204
ვენეციის წმიდა ნიკოლოზის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2012 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442; 899 331 231 Skype – andria1204
რეჯო ემილიის წმინდა სამების სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2012 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი გაბრიელი (ღურწკაია)	სამრევლოს მისამართი: 8, Via Guasco, 42123 Reggio Nell'Emilia, ITALY 7. 0039 327 662 7357
ბორგოსეზიას წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2012 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი კირიონი (მაჩაიძე)	0039 389 847 9775

მანტოვას წმინდა მღვდელმოწამე კირიონის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2012 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი კირიონი (მაჩაიძე)	0039 389 847 9775
სენიგალიას წმინდა ამბროსი აღმსარებელის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2012 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი კირიონი (მაჩაიძე)	10. 0039 389 847 9775
სალერნოს წმინდა გიორგის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2012 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი გაბრიელი (ღურწკაია)	0039 327 662 7357
კონვერსანოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2013 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი მოსე (ჭანკვეტაძე)	0039 388 850 9184; 372 572 550 95; Skype – ss55555ss
უდინეზეს წმიდა ნიკოლოზის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2013 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442; 599 331 231 Skype – andria1204
ალტამურას წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2013 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი მოსე (ჭანკვეტაძე)	0039 388 850 9184; 372 572 550 95 Skype – ss55555ss
ნაპოლის წმინდა ანდრია მოციქულის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2013 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი გაბრიელი (ღურწკაია)	0039 327 662 7357
რევჯო-კალაბრიის წმინდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2013 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი გაბრიელი (ღურწკაია)	0039 327 662 7357
ბოლონიის წმინდა ლუკა მოციქულის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2013 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი გაბრიელი (ღურწკაია)	0039 327 662 7357
პონტედერას წმ. ილია მართლის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2014 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442 skype: andria1204
პოჯიბონსის წმ. გაბრიელ (ქიქოძე) იმერეთის ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო	სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2014 წ. სამრევლოს წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)	0039 327 314 7442 skype: andria1204